პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—31.

შაბათი
26
მაისი
1934 წ.
№ 120 (3976)

დღეს ნომერში

- გერმანიაში ძლიერდება მშრომელთა უკმაყოფილება ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ.
- ჩრდილოეთ მანჯურიაში ფართოვდება მეამბოხეთა მოძრაობა.
- უნგრეთის მრეწველთა დელეგაცია გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში.
- ინგლისის შუბლმაგრები მხარს უჭერენ იაპონიის იმპერიალისტურ გეგმებს ჩინეთში.
- თევზის სარეკორდო დაჭერა ჩრდილო კასპიაში.
- 20 მაისისათვის საბჭოთა კავშირში დათესილია 75.882 ათასი ჰექტარი—გეგმის 87,6 პროც.
- ზუგდიდში ამუშავდა ჩაის ახალი ფაბრიკა.
- ზემო-სვანეთის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა.
- მარგანეცის გამომუშავების გეგმა 23 მაისს შესრულდა 95,7 პროც.

მეტალურგების ახალი გამარჯვება

ჩვენი ქვეყნის ბრძმედებმა დაიწყეს 30 ათასი ტონა თუჯის გამოდნობა დღეღამეში. 18 მაისს პირველად გამოდნობილ იქნა 30 ათას ტონაზე მეტი. 20 მაისს მებრძმედეებმა კვლავ გამოადნეს 30 ათას ტონაზე მეტი. მიღწეულია ჩვენი ქვეყნის საბრძმედე მეურნეობის მუშაობის ახალი უფრო მაღალი დონე. თუჯის წარმოების ეს დონე ჩვენს ქვეყანას პირველ ადგილზე აყენებს ევროპაში და გვათანასწორებს ფაქტიურ გამოდნობასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა იქ საბრძმედე მეურნეობის საწარმოო სიმძლავრე ჩვენსაზე გაცილებით დიდია.

ჩვენს ქვეყანაში დღეღამეში 30 ათასი ტონა თუჯის გამოდნობის თვით ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი მოწმობს საბჭოთა მეტალურგების პირველ დიდ გამარჯვებას. 30 ათასი ტონა თუჯი დღეღამეში—ეს მებრძმედეთა პირველი ღირსეული პასუხია ამხანაგ სტალინისადმი მის მოწოდებაზე შავი მეტალურგიის ჩამორჩენის ლიკვიდირების შესახებ.

ეს ციფრი მაჩვენებელია პირველი სერიოზული წარმატებებისა მოწინავე ტექნიკის ათვისებაში.

ლითონის დამკვრელებთან ერთად, მებრძმედეთა გამარჯვებას სიხარულით ხვდება მთელი ჩვენი ქვეყანა. ლითონის გამოდნობის ზრდაში ჩვენი ქვეყნის მშრომელნი გრძნობენ ჩვენი ეკონომიური და თავდაცვითი სიმძლავრის ზრდას. თუჯს ტყუილად კი არ უწოდებენ მძიმე მრეწველობის პურს. იგი აუცილებელი საფუძველია ხარისხოვანი ლითონის წარმოების გადიდებისათვის, სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დამთავრებისათვის.

შეტევა დაიწყო. იგი დაიწყეს და მას ღირსეულად უძღვებიან ჩვენი ქვეყნის მებრძმედეები. მიმდინარე წლის ოთხნახევარი თვის განმავლობაში თუჯის წარმოება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მათ გაადიდეს 58—60 პროცენტით. ისინი მიდიან ფოლადის სახარშ და სატკეც სამქროების წინ და უჩვენებენ მათ მაგალითს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ბრძმედებმა უკვე მიაღწიეს საწარმოო ზღვარს. მათ უფრო ნაყოფიერ და კულტურულ გაძღოლას შეუძლია უზრუნველყოს ამავე ბრძმედებში 35 ათასი ტონა და კიდევ მეტი თუჯის გამოდნობა დღეღამეში.

ჩვენი ბრძმედების საწარმოო სიმძლავრე სავსებით უზრუნველყოფს ამას. მთელი საქმე იმაშია, რომ გავანაღდოთ ეს უდიდესი რეზერვები, ხოლო მათი განაღდება შეიძლება შემდგომი ბრძოლით ბრძმედების ათვისებისათვის, ღუმელების გამოყენების კოეფიციენტის გაუმჯობესებით და კაზმის გაუმჯობესებით. როცა ამხ. ორჯონიკიძემ თავის გამოსვლაში პარტიის მე-17 ყრილობაზე დასახა როგორც უახლოესი ამოცანა ბრძმედებზე და მარტენებზე მუშაობის ყველაზე მოწინავე ტექნიკური მაჩვენებლების მიღწევა, ბევრი გამოცდილი მეტალურგიც კი უიმედოდ აქნევდა თავს. მერე რა—გავიდა სულ რაღაც სამიოდე თვე და უკვე დღეს ბრძმედები ცხადჰყოფენ, თუ სიმძლავრეთა რა კოლოსალური რეზერვები აქვს მეტალურგიას, ანხორციელებს რა ამხანაგ სტალინის ლოზუნგს ჩამორჩენის ლიკვიდაციის შესახებ. და მართლაც, სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროექტი სამხრეთის ძველ ბრძმედებისათვის 1937 წელს ითვალისწინებს გამოყენების კოეფიციენტს—1,30 ნაცვლად 1,50-ს 1932 წ., ე. ი. ბრძმედების გამოყენების გაუმჯობესებას. მთელი მეორე ხუთწლედის განმავლობაში მხოლოდ 16 პროცენტით. ნამდვილად უკვე მარტში სამხრეთის ბრძმედებმა მიაღწიეს კოეფიციენტს 1,22.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ახალი მსხვილი ბრძმედების მუშაობაში. გათვალისწინებული იყო 1937 წელს გამოყენების კოეფიციენტის აყვანა 1,15 და 1,20-დე მაგნიტოგორსკის ბრძმედებისათვის, სინამდვილეში კი ჯერ კიდევ აპრილში მაგნიტოგორსკის ბრძმედებმა მიაღწიეს კოეფიციენტს 1,07, „აზოვსტალის" ბრძმედებმა—1,08, კუზნეცკის ქარხნის ბრძმედები 18 მაისს მუშაობდნენ: პირველი კოეფიციენტით 0,88, მეორე—0,92.

ეს ციფრები და ფაქტები მოწმობენ, რომ რეზერვები შავ მეტალურგიაში დიდი გვაქვს, რომ საჭიროა მათი გამოყენება გაცილებით უფრო გაბედულად, უფრო გადაჭრით, ვიდრე ეს ხდებოდა დაპროექტების დროს. შავი მეტალურგიის ყველა საწარმოო რეზერვი—მთლიანად უნდა გამოვიყენოთ. უზრუნველვყოთ თუჯის გამოდნობის შემდეგი აღმავლობა, არ დავუშვათ არც ზაფხულში, არც ზამთარში მუშაობის ჩაშვება. ასეთია მებრძმედეების ამოცანა.

მებრძმედეების პირველი გამარჯვება ამავე დროს აყენებს უდიდეს ამოცანას ფოლადის მხარშავებისა და მტკეცავების წინაშე. ლაპარაკია დიდ განსხვავებაზე, ერთის მხრივ, თუჯის წარმოებასა და, მეორის მხრივ, ფოლადის წარმოებასა და ტკეცილის გამოშვებას შორის. განსხვავება თუჯისა და ფოლადის გამოდნობას შორის მაისში რამდენიმე ათას ტონას უდრის. განსხვავება ფოლადის გამოდნობასა და მზა ტკეცილის გამოშვებას შორის—6—8 ათას ტონამდე აღწევს. ეს ნიშნავს, რომ გამოდნობილი ფოლადის საგრძნობი ნაწილი დაუტკეცელი რჩება. სწორედ ტკეცა ამთავრებს შავი მეტალურგიის საწარმოო ციკლს. ის იძლევა ლითონის იმ პროფილებს და ხარისხებს, რომლებიც აუცილებელია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. აი რატომ არის დაუშვებელი და მიუტევებელი ფოლადის წარმოების და განსაკუთრებით მზა ტკეცილის გამოშვების ჩამორჩენა.

ფოლადის მხარშავების და მტკეცავების ამოცანაა არ ჩამორჩნენ მებრძმედეებს.

რეზერვები ფოლადის გამოდნობის და ტკეცილის გამოშვების გასადიდებლად დიდი გვაქვს. თავი და თავი ის არის, რომ მებრძმედეების შემდეგ გავშალოთ ბრძოლა მარტენების ათვისებისათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება სატკეც დაზგებს. სატკეც სამქროებში გაჩერებას დღემდე მთელი სამუშაო დროის დაახლოვებით მესამედი მიაქვს. ამასთან უკანასკნელ დროს გაჩერება არა თუ არ მცირდება, არამედ მთელ რიგ ქარხნებში იზრდება. ნამდვილი და არა ფორმალური შეჯიბრება სატკეც სამქროებში თითქმის ჯერ არ არის. დამახასიათებელია, რომ მტკეცავებს დღემდე კიდევ არ გააჩნიათ მუშაობის დამკვიდრებული გამაერთიანებელი მაჩვენებელი, რომლის ირგვლივ შეიძლება შეჯიბრების გაშლა. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ შავი მეტალურგიის მთავარ სამმართველოს დღემდე არ გამოუმუშავებია სატკეცი სამქროების კონკურსის პირობები.

ყოველივე ეს სატკეცი სამქროების ჩამორჩენილობისა და ჩამორჩენის მაჩვენებელია.

ჩვენი ქვეყნის მებრძმედეებმა მიაღწიეს პირველ დიდ გამარჯვებას. მათ დაგვანახვეს, თუ რა დიდი შესაძლებლობანი იფარება ჩვენს შავ მეტალურგიაში და როგორ სწრაფად მიდის საქმე წინ, როცა ბრძოლა ტექნიკის დაუფლებისათვის საქმიან ნიადაგზეა დაყენებული, ფოლადის მხარშავებმა და მტკეცავებმა უნდა მიბაძონ ამ მაგალითს, გაამტკიცონ და წინ წასწიონ ეს პირველი წარმატება.

ლითონის წარმოების გეგმა უნდა შესრულდეს არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

(„პრავდის" 24 მაისის მოწინავე)

თევზის სარეკორდო დაჭერა ჩრდილო კასპიაში

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხ. სტალინს;
საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო — ამხ. მოლოტოვს;

ასტრახანი, 23 მაისი. ასტრახანის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ვერ ასრულებდა თევზის ჭერის გეგმას, წელს მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება, შეასრულა რა, ვადაზე ადრე წლის პირველი ნახევრის გეგმა. 22 მაისისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 5.341.000 ფუთი თევზი. გეგმა შესრულებულია 102,2 პროც. „სახჭერამ" გეგმა შეასრულა 138,4 პროც., კოლმეურნეობებმა — 100,4 პროც., თევზის მანქანებით მჭერმა სადგურებმა — 118 პროც., სეტნერებმა — 111 პროც.

გამხმარი და ახლად ჩაყრილი თევზეულის გეგმა შესრულებულია 100,3 პროც., სახელმწიფოს ჩაბარდა 245 ათასი ფუთით მეტი თევზი, ვიდრე გასულ წელს.

ეს გამარჯვება, რაც მოპოებულია განმტკიცებული საკოლმეურნეო წყობილების პირობებში, ამტვერებს უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელებულ ოპორტუნისტულ თეორიას თევზეულის მარაგის გამოლევის შესახებ კასპიაში, ანტიმექანიზატორულ თეორიას მექანიზებული ჭერის არარენტაბელობის შესახებ ჩრდილოეთ კასპიაში.

პირველი წარმატებები ანმტკიცებენ ჩვენში რწმენას, რომ ჩრდილოეთ კასპიას შეუძლია კვლავ დაიკავოს წამყვანი ადგილი საერთოდ თევზის ჭერის ხაზით ჩვენს ქვეყანაში. არ დაკმაყოფილდებიან რა პირველი გამარჯვებებით, ასტრახანის ბოლშევიკები კიდევ მეტი შეუპოვრობით იბრძოლებენ შემდეგშიაც გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სისუფთავის და სანიტარიის შემდგომი დანერგვისათვის; კერძოდ, ამოცანად ვისახავთ — მიქოიანის სახელობის მძლავრი თევზ - კონსერვის კომბინატი გადავაქციოთ სტალინგრადის მხარის მოწინავე საკვებ საწარმოდ.

ასტრახანის საქალაქო კომიტეტის მდივანი—**სლესარევი.**

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე — **გუტკინი.**

სახთევზტრესტის მმართველი — **ფისენკო.**

ასტრახანის მეთევზეთა კოლმეურნკავშირის თავ-რე— **შატალინი.**

ამუშავდა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა

ზუგდიდი, 25 მაისი. დამთავრდა ამხ. ლ. ბერიას სახელობის ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა — გიგანტის აგება. ეს ფაბრიკა, რომელიც წლიურად გადაამუშავებს ორ მილიონამდე კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ფაბრიკის მანქანები და მთელი მოწყობილობა დამზადებულია საბჭოთა კავშირის ქარხნების მიერ.

ფაბრიკა ამუშავდა 25 მაისს.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის პარტრაიკომის მდივანი **გვასალია.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **როგავა;**
ფაბრიკის მშენებლობის უფროსი **ბერულავა.**

ფაშისტური დიქტატურის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა

გლეხები ბოიკოტს უცხადებენ ნაციონალ - სოციალისტური პარტიის წევრებს

ვენა, 24 მაისი. შვეიცარელი მოქალაქე, რომელიც ხშირად დაიარებოდა გერმანიაში, „ნეიე ციურიხერ ცეიტუნგში" ადარებს რა ერთი წლის და ნახევარი წლის წინათ არსებულ მდგომარეობას მის მიერ უკანასკნელი მგზავრობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ **ნაციონალ - სოციალისტური დიქტატურის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა როგორც ქალაქში, ისე სოფლად.** მთელ რიგ ადგილებში, წერს ავტორი, საქმე იქამდე მივიდა, რომ **გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრებს.** ნაციონალ - სოციალისტური რეჟიმით უკმაყოფილება და მისდამი მტრული ატმოსფერა ავტორმა შეამჩნია ყველგან. მთავრობის ღონისძიებებს უნდობლობით უყურებენ, მაგრამ ნაციონალ - სოციალისტების პოლიტიკის გაკრიტიკება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა „ფანჯრები დახურულია" და ოთახში უცხო არავინ არის. (ადს).

მუშათა უკმაყოფილება იზრდება

პარიზი, 23 მაისი. რეაქციული პრესაც კი აღნიშნავს უკმაყოფილების ძლიერ ზრდას გერმანიის მუშებს შორის. „ლიბერტეს" ბერლინელი კორესპონდენტი წერს:

„არ შეიძლება არ აღინიშნოს **მღელვარების გაძლიერება გერმანიის მუშებს შორის.** ხელფასი შემცირებულია და ბევრი მუშა, რომლებმაც არასაკმაოდ გამოიჩინეს ლოიალური დამოკიდებულება ახალ რეჟიმისადმი, დათხოვნილია. ეს მუშები ჰკარგავენ უმუშევრობის გამო დახმარების მიღების უფლებას და იღუპებიან შიმშილით. ამასთან დაკავშირებით მუშებს შორის იზრდება უკმაყოფილება და მხოლოდ შიში საკონცენტრაციო ბანაკების წინაშე, აიძულებს ყველაზე ზომიერებს, თავი შეიკავონ. (ადს).

ინგლისის შუბლმაგრები მხარს უჭერენ იაპონელ იმპერიალისტებს

ნიუ-იორკი, 23 მაისი. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ლონდონში ეწინააღმდეგებიან იაპონიის ბატონობის დამყარებას წყნარ ოკეანეზე. მაგრამ, განაგრძობს კორესპონდენტი, მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ პოლიტიკური ხაზის ირგვლივ, რომელიც არჩეული უნდა ქნეს მახლობელი დროისთვის, კერძოდ, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „საიმონის მეგობრულ პოზიციას იაპონიის მიმართ დიდად უჭერენ მხარს შუბლმაგრები, რომლებიც მზად არიან მისცენ ტოკიოს მოქმედების თავისუფლება ჩინეთში და მიესალმონ იაპონიის ყოველ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ". გარდა ამისა, კორესპონდენტის სიტყვით, შუბლმაგრებს არ უნდათ გამოიწვიონ იაპონიის უკმაყოფილება, აშინებთ რა იაპონელი აგენტების მუშაობა ინდოეთში (ადს).

იაპონიის პასუხი არ აკმაყოფილებს ამერიკას

ვაშინგტონი, 22 მაისი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელლმა განაცხადა, რომ იაპონიამ პასუხი გასცა შეკითხვებზე მისი პოლიტიკის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ ეს პასუხი არ იძლევა საკმაო საფუძველს კომენტარიებისათვის ან ოფიციალური ხაზგასმებისათვის. შემდეგ ხელლმა აღნიშნა, რომ იაპონიას არ დაუწყია მოლაპარაკება მომავალი წლისათვის დანიშნული საზღვაო კონფერენციის გარშემო (ადს).

მუშავდება ჩინეთში საბანკო სინდიკატის მოწყობის გეგმა

შანხაი, 23 მაისი. ნანკინის მთავრობის ეკონომიურ საბჭოს ფრანგი მრჩევლის მონნეს მუშაობის შედეგად, — წერს „ჩაინა პრესი", — დაიწყო საბანკო სინდიკატების ორგანიზაციის გეგმის დამუშავება. საბანკო სინდიკატში შევლენ ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის წარმომადგენლები. ეს სინდიკატი დააბანდებს კაპიტალებს ჩინეთის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებში და ამასთან ერთად ითანამშრომლებს სუნ ძე-ვენის მიერ დაარსებულ ჩინეთის საფინანსო კონსორციუმთან. (ადს).

მდგომარეობა ბულგარეთში

ხმები კონტრგადატრიალების მზადების შესახებ

ლონდონი, 22 მაისი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტის სიტყვით სოფიაში გავრცელებულია ხმები, რომ მზადდება კონტრგადატრიალება, „რამდენადაც ოფიცრობის ნაწილი აშკარად მტრულად არის განწყობილი ახალ რეჟიმისადმი".

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ არმიაში უკვე მოხდა განხეთქილება. მისი სიტყვით, სამსახურიდან გადადგა 30 ოფიცერი. მათ შორის ბევრი გენშტაბისტი. ბევრ გარნიზონში შემჩნეულია ძლიერი უკმაყოფილება გადატრიალებით (ადს).

ბულგარეთის კონსტიტუცია უქმდება

ვენა, 23 მაისი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, დღეს ოფიციალურად გაუქმებულ იქნება კონსტიტუცია. პრემიერმა გეორგიევმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ დეკრეტი იურიდიულ ძალას აძლევს მთავრობის განკარგულებებს, იმისაგან დამოუკიდებლად, ეწინააღმდეგება თუ არა ეს განკარგულებები კონსტიტუციას.

ბულგარეთის გაზეთები ნაწილობრივ დაიხურება და ნაწილობრივ უნიფიცირებული იქნება. გამოცემულია აგრეთვე განკარგულება, რომელიც მძიმე სასჯელით იმუქრება „მთავრობის ავტორიტეტის დამამცირებელი" ცნობების გავრცელებისათვის!

ბულგარეთის სააგენტო, რომელიც გადატრიალების შემდგომ დღეებში კატეგორიულად უარყოფდა უცხოეთის პრესის ცნობებს მღელვარების შესახებ ბულგარეთში, ახლა იძულებულია განაცხადოს, რომ მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს გადატრიალებას. 21 მაისს მუშა კომუნისტებმა სოფიაში მოაწყეს სახალხო მიტინგები. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები. ერთი მუშა მძიმედ დასჭრეს. (ადს).

ძლიერდება მეამბოხეთა მოძრაობა ჩრდილოეთ მანჯურიაში

ბეიპინი, 23 მაისი. ხარბინიდან იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ მანჯურიაში ვინსიანის, სანსის და ფუგდინის რაიონებში გაძლიერდა მეამბოხეთა მოძრაობა. ქალაქში დაკეტილია ყველა მაღაზია, მოძრაობა შეჩერებულია, ვაჭრები გარბიან ხარბინში. ფუგდინის რაიონში მოქმედებს ათასზე მეტი მეამბოხე (ადს).

საფრანგეთის სოციალ-ფაშისტების ყრილობაზე

ფრანგ სოციალისტთა ჯგუფი მოითხოვდა დელეგაციის გაგზავნას მოსკოვში მოქმედების ერთიანობის საკითხის განსახილველად

პარიზი, 23 მაისი. გუშინ სოციალისტური პარტიის ყრილობაზე ტულუზში სოციალისტური ჯგუფის „კომიტე დაქსიონ სოსიალისტის" ხელმძღვანელებმა, რომელიც თავის დროზე გამორიცხულ იქნა პარტიიდან ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ფრონტში მონაწილეობისათვის, მოითხოვეს დელეგაციის გაგზავნა მოსკოვში მოქმედების ერთიანობის საკითხის განსახილველად. ვოგეზიზერის და ენის დეპარტამენტთა ფედერაციის დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათმა ფედერაციებმა გადაწყვიტეს, რათა სოციალისტურმა პარტიამ დაუყოვნებლივ დაიწყოს კომინტერნთან მოლაპარაკება ერთიანი ფრონტის შესახებ. ყრილობის ხელმძღვანელობამ, რომელიც აშკარად უკმაყოფილო იყო კამათის მიმდინარეობით, შეზღუდა ორატორთა სია. საკითხი ერთიანი ფრონტის შესახებ გადაეცა კომისიას. (ადს).

ავსტრიის მუშათა კლასის მოღალატენი განთავისუფლეს

ვენა, 23 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ სასამართლო ხელისუფლებამ უარი თქვა ბრალი დაედო ღალატში ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მთელ რიგ ბელადებისათვის, რადგან ისინი „არ იღებდნენ მონაწილეობას რევოლუციურ გამოსვლებში". ამის საფუძველზე, პოლიციამ საპატიმროდან გაათავისუფლა რენერი, დანენბერგი, ელენბოგენი და სხვ. (ადს).

საბჭოთა კავშირი და გერმანია

საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ბერლინში ამხ. ბესონოვი ინახულა პროფ. კოლგერსტერმა

ბერლინი, 23 მაისი. დღეს საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ბერლინში ამხ. ბესონოვი ინახულა პროფ. კოლგერსტერმა, რომელიც მეთაურობდა სუბსტრატოსტატის დაღუპვის პირობების გასაცნობად საბჭოთა კავშირში გამგზავრებულ გერმანელ ექსპერტთა კომისიას. პროფ. კოლგერსტერმა ამხ. ბესონოვს და მისი შემწეობით საბჭოთა მთავრობის ორგანოებს უღრმესი მადლობა გამოუცხადა იმ დახმარებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ და მოსახლეობამ აღმოუჩინეს დაღუპულ აერონავტთა ცხედრების, აეროსტატის ნაშთების და სამეცნიერო ხელსაწყოების პოვნისა და გატანის დროს. პროფ. კოლგერსტერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თანაგრძნობამ და გულთბილმა მიღებამ, რაც მან საბჭოთა კავშირში ნახა, და განაცხადა, რომ არასოდეს არ მოელოდა ასეთ გულისხმიერ დამოკიდებულებას და დახმარებისათვის მზადყოფნას უცხო ქვეყანაში.

დაღუპულ აერონავტთა ცხედრები ბერლინში ჩამოსვენებულ იქნა 20 მაისს დილით ადრე. სადგურზე ავიაციის სამინისტროს საპატიო ყარაულისა და გერმანიის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს გარდა იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ამხ. ბესონოვი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ჩელუსკინელები— მთავრობის ცენტრალურ კომისიას

ამხ.: კუიბიშევს, კამენევს, უნშლიხტს, იანსონს, იოფეს

გემი „სმოლენსკი". 23 მაისი. მიემგზავრებიან რა გემ „სმოლენსკით" პეტროპავლოვსკში, ჩელუსკინელები უძღვნიან მხურვალე მადლობას მთავრობის ცენტრალურ კომისიას, რომელსაც სათავეში ამხ. კუიბიშევი უდგას.

კომისიის მიერ გაშლილი ღონისძიებანი ანცვიფრებდა ყველას თავისი სიფართოვითა და გაქანებით.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი დიდი მადლობა დახმარების იმ გეგმისათვის, რომელიც თქვენ შეადგინეთ და რომელიც ასეთი წარმატებით დაგვირგვინდა.

ბობროვი, ვორონინი, ბაევსკი, კოპუსოვი, ზახაროვი, რუმიანცევი.

„საბჭოთა მფრინავები გმირებია"

კნუტ ჰამსუნის წერილი სრულუფლ.-ბიან წარმომადგენელს ა. კოლონტაის

სტოკჰოლმი, 8 მაისი.

ეს არის დავბრუნდი სახლში მოგზაურობის შემდეგ და ვნახე თქვენი გულთბილი წერილი ძვირფასო ქ-ნო კოლონტაი, ამჟამად ეს საკითხი უკვე არ არის აქტუალური, მაგრამ გთხოვთ დამიჯეროთ, რომ ყველა ნერვის უდიდესი დაძაბულობით ვადევნებდი თვალყურს გადასარჩენ მუშაობას ყინულებში. მე უკვე ძალზე მოხუცი ვარ და გულამომჯდარი ვტიროდი ყოველთვის, როცა ახერხებდნენ ადამიანების კიდევ ახალი ჯგუფის გადმოყვანას ყინულებიდან მიწაზე. მე წავიკითხე, რომ ზოგიერთებს აეროპლანს გარედან აკრავდნენ და ისე მოჰყავდათ. ეს ჯერ არასოდეს არ მომხდარა. მთელი გადასარჩენი მუშაობა მისი ფანტასტიური სიდიადით ჩემთვის მიუწვდომელია.

საბჭოთა მფრინავები გმირები არიან.

საერთოდ მე ღირსი არა ვარ შევუერთო ჩემი ხმა. ამ დიადი გმირული საქციელის შეფასებას, მაგრამ, როცა ვკითხულობდი ამის შესახებ, მე აზრით და გონებით მათთან ვიყავი.

კიდევ მადლობას გიძღვნით თქვენი მეტად გულთბილი წერილისათვის.

თქვენი ერთგული **კნუტ ჰამსუნი.**

კნუტ ჰამსუნის წერილი წარმოადგენს პასუხს „იზვესტიას" თხოვნაზე გამოეთქვა თავისი აზრი ჩელუსკინელების გადასარჩენად საბჭოთა მფრინავების მიერ გაწეულ მუშაობაზე.

„სმოლენსკი" მიდის პეტროპავლოვსკისაკენ

ხაბაროვსკი, 23 მაისი. პეტროპავლოვსკისაკენ მიმავალმა „სმოლენსკმა" სცადა გარსშემოევლო ლავრენტის კუნძულისათვის აღმოსავლეთით, მაგრამ იქ წააწყდა მჭიდრო ყინულებს; „სმოლენსკმა" გადაწყვიტა თავიდან აეცილებია ყინულებში სვლა და უკან გამობრუნდა. დღეს „სმოლენსკმა" კუნძულს შემოუარა დასავლეთით, აიღო რა კურსი ზიუდ-ვესტისაკენ. ნაშუადღევის სამი საათიდან მივდიოდით სრული სისწრაფით ყინულებისაგან თავისუფალ წყალში. შემდეგ სვლა შევანელეთ, რადგან ანადირის უბესთან წავაწყდით დამსხვრეულ ყინულებს. გემის სამანქანო ნაწილი მშვენივრად მუშაობს. გემი გზაში იწმინდება და ილებება. ჩელუსკინელები ემზადებიან სასიხარულო შეხვედრებისათვის, წერენ კოლექტიურ წიგნს არქტიკული ლაშქრობის შესახებ. (ადს).

„კრასინი" ნომში

„კრასინი", 24 მაისი. პირველი საბჭოთა გემის მისვლამ ნომში (ალიასკა) დიდი სენსაცია გამოიწვია. განუწყვეტელი ექსკურსიები ნაშუაღამევამდე ეცნობოდნენ ყინულისმჭრელს.

დილის 4 საათსა და 45 წუთზე გემი გავიდა ნომიდან. იგი შეუჩერებლივ მიარღვევდა მთლიან ყინულს და შუადღისას გავედით ყინულისაგან თავისუფალ წყალში. მივდივართ კამჩატკის პეტროპავლოვსკისაკენ. (ადს).

ტრანსპორტის მთავარი პროკურორის დეპეშა ვაგონების არა მთლიანად დატვირთვის შესახებ

მოსკოვი, 24 მაისი. ტრანსპორტის მთავარმა პროკურორმა ამხ. სევალმა გზების ყველა სატრანსპორტო პროკურორებს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„შენიშნულია შემთხვევები, როცა კლიენტურა მიწოდებული ვაგონების გამოუყენებლობისათვის პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მიმართავს ვაგონების არამთლიანად დატვირთვას წონის დაწესებულ ნორმამდე. ასეთი მოქმედება წარმოადგენს ტვირთზიდვის გეგმის ბოროტგანზრახვით ჩაშლას. მიეცით სისხლის სამართლის პასუხისგებაში დამნაშავე კლიენტები და გზების აგენტები. (ადს).

მწერალი კარინ მიხაელისი „პრავდის" რედაქციაში

დანიელი მწერალი ქალი კარინ მიხაელისი, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, გუშინ ეწვია „პრავდის" რედაქციას.

რედაქციის მუშაკებთან ხანგრძლივ საუბარში კარინ მიხაელისმა გაუზიარა მათ თავისი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირისაგან და განაცხადა, რომ იგი უახლოეს დროში გაეცნობა მთელ რიგ ახალ ქარხნებს და კულტურულ დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ დაწეროს წიგნი საბჭოთა კავშირის შესახებ. მისი სიტყვით ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან დასავლეთში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ხალხი, რომლებსაც სჯერათ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ცილისწამება, მათ მიერ გავრცელებული უხამსი ჭორები საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის შესახებ.

თუ რა სისულელემდე მიდის ეს ჭორები, აჩვენებს, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ გორკის ავტოქარხანა ბუნებაში არ არსებობს, რომ იგი გამოგონილია ბოლშევიკების მიერ საგიტაციო მიზნით. კარინ მიხაელისი ამ დღეებში მიდის გორკიში მხატვართან ერთად.

საუბრის შემდეგ მიხაელისმა დაათვალიერა „პრავდის" ახალი სტამბა. მძლავრმა საუკეთესო მოწყობილობამ, წარმოების რაციონალურმა ორგანიზაციამ, შრომის საუცხოო პირობებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. (ადს).

სუბტროპიკების სპეციალისტთა ექსპედიცია გამოემგზავრა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 24 მაისი. ამიერ-კავკასიაში გაემგზავრა მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკების სპეციალისტთა ექსპედიცია. ექსპედიცია აჭარისტანში ჩაატარებს მთელ რიგ გამოკვლევებს ჩაის პლანტაციების ფართობის გასადიდებლად. ამავე დროს ექსპედიცია გამოიკვლევს აჭარისტანის ნიადაგებს ამ რაიონში ციტრუსების გაშენებასთან დაკავშირებით.

ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი ბათომის ბოტანიკურ ბაღში ქმნის სტაციონარს ამიერ-კავკასიის მთელი ტერიტორიის ნიადაგის შესასწავლად. (ადს).

20 მაისისათვის დათესილია 75.882 ათასი ჰექტარი

მოსკოვი, 25 მაისი. 20 მაისისათვის საბჭოთა კავშირში დათესილი იყო 75.882 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები—გეგმის 81,6 პროც. კოლმეურნეობებმა თესვის გეგმა შეასრულეს 85,5 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა — 70,4 პროცენტით და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 72,1 პროცენტით. (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს უარყოფა

საფრანგეთის დეპეშათა სააგენტო ჰავასი 24 მაისს იუწყება, რომ „ამერიკული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის თვითმფრინავებმა მოახდინეს თავდასხმა რუსეთის ტერიტორიაზე პრიმორიეს პროვინციაში. თითქოს მოკლულია 1000 კაცი, დანგრეულია რამდენიმე სოფელი". ასეთივე ხასიათის ცნობას „ლონდონიდან მიღებული ამერიკული ცნობების საფუძველზე" ბეჭდავს აგრეთვე „ეკო დე პარი".

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს უარყოს ეს ცნობები, როგორც თავიდან ბოლომდე უხეშად მოგონილი (ადს).

„ერ ნუველის" გონიერი მითითება

პარიზი, 25 მაისი. „ერ ნუველი". აქვეყნებს წერილს უცხოეთის ბურჟუაზიულ პრესაში მოთავსებულ, ტოკიოდან მიღებულ ცნობაზე იმის შესახებ, რომ საბჭოთა პატრულებმა სროლა აუტეხეს მანჯურიის გემს. ეხება რა ირონიით ამ ცნობების პროვოკაციულ ხასიათს, რომელთაც თანხლებით „აზუსტებდნენ" შეთხზული ამბებით ზარბაზნის ყუმბარით იაპონელი პოლკოვნიკის მოკვლის და იაპონელ მეზღვაურის ცემის შესახებ, გაზეთი წერს: „მეტად საშიშია დრო იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მსოფლიო პრესაში ასეთი ჭორების მოთავსება. მთელი მსოფლიოს თოფის წამლის საწყობები სავსეა და საკმარისია ერთი ნაპერწკალი მათ ასაფეთქებლად. განსაკუთრებით დიდი დანაშაულია ასეთი ახალი ამბების გამოქვეყნება წინასწარი გულდასმითი შემოწმების გარეშე. (ადს).

„ლიუმანიტე" დორიოს გამთიშველი მუშაობის შესახებ

პარიზი, 20 მაისი. აქვეყნებს რა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებასა და საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს რეზოლუციას დორიოს გამთიშველი მუშაობის შესახებ, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „ლიუმანიტე" წერს: «სოციალ-დემოკრატია, რომლის ფუძიზე იერიშები მიაქვთ მუშათა მასებს, ფაშისტურ ბურჟუაზიას უადვილებს პროვოკაციული ზრახვების განხორციელებას, ცდილობს რა მთელი რიგი მანევრებით ერთიან ფრონტს ჩამოაცილოს სოციალისტური მუშები, რომლებიც, როგორც ის უკმაყოფილებით ხედავს, კომუნისტ მუშებს უახლოვდებიან. ანვითარებს რა თავის გამთიშველ მუშაობას, წერს „ლუმანიტე", ბარბიუს დახმარებით წელმომაგრებული დორიო აწარმოებს კომუნისტების ყველა მტრის თამაშს, რომლებიც ცდილობენ ყველა საშუალებით შეასუსტონ ჩვენი პარტია. მოსწყვიტონ იგი მასებს და სახელი გაუტეხონ კომინტერნს, რომელსაც ეს მასები ერთგულად მიჰყვებიან.

გადადის რა დორიოს მუშაობის გამო კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების უშუალო დახასიათებაზე, „ლუმანიტე" წერს: „ჩვენი პარტიის ისტორიაში პარტიის წევრებს ან მასობრივ ორგანიზაციებში მყოფ მის თანამგრძნობთ ასეთი ერთსულოვნებით არასოდეს არ უკუუგდიათ პარტიაში განხეთქილების შეტანის ცდები. მუშათა მასები ასე დიდი რაოდენობით არასოდეს არ დარაზმულან ჩვენი პარტიის დროშის ქვეშ". (ადს).

კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე

შოფერების, მტვირთავების და მეზღვაურების გაფიცვა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 22 მაისი. მინეაპოლისში საბარგო ავტომობილების 5 ათასი შოფერის გაფიცვამ გამოიწვია სურსათის და სხვა საქონლის სიმცირე. 20 ათასზე მეტი მშენებელი მუშა გაფიცულია შოფერებისადმი სოლიდარობის ნიშნად. დღეს დილით ქუჩებში გუშაგობდა 15 ათასი მეპიკეტე. გუშინდელი შეტაკების შედეგად საავადმყოფოში გაიგზავნა 18 პოლიციელი და 19 გაფიცული. უკანასკნელ დროს დაიჭრა 100 კაცზე მეტი, დაპატიმრებულია 350. გაფიცულები მოითხოვენ პროფკავშირების ცნობას და ხელფასის გადიდებას.

დღეს რამდენიმე ათასმა გაფიცულმა მინეაპოლისში ალყა შემოარტყა ბაზრებს, სადაც შტრეიკბრეხერები ცდილობდნენ გადმოეტვირთათ საბარგო ავტომობილებიდან კვების პროდუქტები. შეტაკების დროს მოკლეს ქარხნის ერთი დირექტორი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მუშებთან ბრძოლაში, დაიჭრა 30 პოლიციელი და 14 გაფიცული შოფერი.

ნიუ-ორლეანში გაფიცულია 2000 მტვირთავი. წყნარ ოკეანეს ნავთსადგურებში გრძელდება 20 ათასზე მეტი მტვირთავისა და მეზღვაურის გაფიცვა; გაფიცულებს უერთდებიან ნავთსადგურში მოსული გემების მეზღვაურები. (ადს).

უნგრეთის მრეწველთა დელეგაცია გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში

ვენა, 23 მაისი. დღეს ბუდაპეშტიდან საბჭოთა კავშირში მიემგზავრება უნგრეთის მრეწველთა და კომერსანტთა დელეგაცია 8 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რეფერენტი მორნომისი. ვარშავაში დელეგაციას უნდა შეუერთდეს, უნგრეთის ელჩი მოსკოვში იუნგერტი. დელეგაციის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის სამრეწველო საწარმოებთან გაცნობა და წყლის გზების შესწავლა საბჭოთა კავშირში (ადს).

„ტანი" მოსკოვში მეტროპოლიტენის აგების შესახებ

პარიზი, 23 მაისი. „ტანი" სტატიაში მოსკოვში მეტროპოლიტენის აგების შესახებ დეტალურად აღწერს მშენებლობის გეგმას და აღნიშნავს, რომ მეტროპოლიტენი შენდება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ხაზს უსვამს რა მუშაობის წარმატებით მსვლელობას, გაზეთი აღნიშნავს მუშების და მშრომელი მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას მეტროს მშენებლობაში (ადს).

მფრინავი ქალის მსოფლიო რეკორდი

ლონდონი, 24 მაისი. ახალზელანდიელი მფრინავი ქალი **ვეტენი,** რომელიც ლონდონიდან გაფრინდა ავსტრალიაში, 23 მაისს მიფრინდა პორტ-დარვინში, უკან მოიტოვა რა მსოფლიო რეკორდი, დამყარებული ავიატორ ქალებისათვის ინგლისელი მფრინავის ემა ჯონსონის მიერ 1930 წელს. ვეტენმა ავსტრალიაში გადაფრენას მოანდომა 4 ნახევარი დღით უფრო ნაკლები, ვიდრე ჯონსონმა (ადს).

ხიდი ლა-მანშზე

მოსკოვი, 25 მაისი. (საკ. ინფ.) პოლონეთის პრესა იუწყება, რომ პოლონელმა ინჟინერმა კრამშტიკმა შეიმუშავა ლამანშზე ხიდის აგების პროექტი. ხიდმა უნდა შეაერთოს ინგლისის კუნძულები ევროპის კონტინენტთან. მგზავრობა პარიზიდან ლონდონში გადაუჯდომლად გაგრძელდება სრულ 5 საათს.

თავის დროზე წამოყენებული იყო ლამანშის ქვეშ გვირაბის გათხრის პროექტი. მაგრამ ეს პროექტი უარყოფილი იქნა ინგლისის სამხედრო ხელისუფლების დაჟინებითი მოთხოვნით, რომელიც შიშობს, რომ ინგლისმა არ დაკარგოს თავისი უპირატესი მდგომარეობა, როგორც კუნძულის სახელმწიფომ. ინგლისის თანხმობაზეა დამოკიდებული მთელი პროექტის ბედი. თუ ასეთი თანხმობა მიცემული იქნება, მშენებლობა დაიწყება მომავალ წელს. მუშაობის დამთავრება გათვალისწინებულია 1938 წლისათვის (ადს).

საბჭოთა ქირურგიის დიდი მიღწევა

„მძინარეობის სენით" დაავადებულის ოპერაცია

ლენინგრადი, 24 მაისი. („პრავდის" კორესპ.). ტრავმატოლოგიური ინსტიტუტის ასისტენტმა ექიმმა ფ. ი. მაშანსკიმ (პროფესორ ა. ლ. პოლენოვის კლინიკა) ეგრეთწოდებული „მძინარეობის სენით" დაავადებულს გაუკეთა იშვიათი სირთულის ოპერაცია. ეს სენი, სხვათაშორის, გამოიხატება ხელ-ფეხის განუწყვეტელ ცახცახში. აქამდის მსოფლიო მედიცინა უძლური იყო ამ მოვლენათა მკურნალობაში.

ოპერატორმა ხერხემლის ტვინის სიღრმეში გადაჭრა ნერვული გზები, ავადმყოფურ გაღიზიანებათა გამტარებელი ფეხის კუნთებთან.

—:—

ექიმ მაშანსკის მიერ გაკეთებული ოპერაციის შესახებ მიღებულ ცნობასთან დაკავშირებით, გამოჩენილმა საბჭოთა ქირურგმა პ. ა. გერცენმა „პრავდის" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— სამწუხაროდ, ცნობა ოპერაციის შესახებ მეტად ლაკონიურია, საჭირო დეტალების გარეშე, აშუქებს თვით მეთოდს, რომელიც ექიმმა მაშანსკიმ გამოიყენა. როგორც ჩანს, მან მიმართა რომელიღაც ტექნიკურად ორიგინალურ მეთოდს, რომლის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ უფრო დაწვრილებით გაცნობის შემდეგ.

ყოველ შემთხვევაში, მის მიერ გაკეთებული ოპერაცია მედიცინის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ფაქტია, რომელსაც ახალი რამ შეაქვს ქირურგიაში.

ექიმ მაშანსკის საქმე ჰქონდა ავადმყოფთან, რომელსაც აწუხებდა „მძინარეობის სენის" შედეგები ალბათ ეპიდემიური პროცესის შემდეგ.

არც საბჭოთა კავშირში, არც ევროპაში აქამდის ასეთი ოპერაცია არ გაკეთებულა. მკურნალობის ეს მეთოდი თეორიულად პირველად წამოაყენა ამერიკელმა ქირურგმა პუტმემმა.

ამგვარად, ლენინგრადის ტრავმატოლოგიურ ინსტიტუტში გაკეთებული ოპერაცია წარმოადგენს საბჭოთა ნევროქირურგიის დიდ მიღწევას. (ადს).

ზემო-სვანეთის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

მესტია, 25 მაისი. ზემოსვანეთის რაიონმა **საგაზაფხულო თესვის გეგმა** ვადამდე 5 დღით ადრე 101 **პროცენტით შეასრულა.**

დათესილია მარცვლეული კულტურები 1.900 ჰექტარზე.

საქ. კ.პ. (ბ) ზემოსვანეთის რაიკომის მდივანი პირველი.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ზარძელიანი.

წყალის ტრანსპორტის მუშაობას— მეტი ყურადღება

გეგმათა უთანხმოება

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან).

ბათომისა და ფოთის ნავთსადგურები ცნობილია როგორც ჩვენი ქვეყნის ფართო კარები დასავლეთით, საიდანაც გადის და შემოდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდძალი საქონელი.

ეს ნავთსადგურები ამჟამად მუშაობენ ცუდად, გადამზიდავი საშუალებები გამოყენებულია უხეიროდ და ტვირთზიდვა სათანადოდ არაა გაშლილი.

არ გამოუდგებით მარტო იმის მტკიცებას, რომ შავი ზღვის ბასეინის ხელმძღვანელები **„ტვირთზიდვის გეგმებს ადგენენ სახალხო მეურნეობის ნამდვილ მოთხოვნილებათა სათანადოდ აღურიცხავად"**, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ცალკე რაიონთა თავისებურებებს და ჯეროვნად არ არიან დაკავშირებული ტრანსპორტის სხვა სახეებთან. ჩვენ ამასგარდა გვინდა ვთქვათ, რომ სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმონი, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ბათომისა და ფოთის ნავთსადგურებთან, თავიანთ მოვალეობას ცუდად ასრულებენ და ამით ხელს უშლიან საზღვაო ტრანსპორტის არამცთუ განვითარებას, არამედ არსებულის სრულად გამოყენებასაც.

პირველად ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო და კერძოდ მისი პირველი საექსპლოატაციო განყოფილება უნდა დავასახელოთ. **საქმე იმაშია, რომ რკინის გზა ნავთსადგურებს ვერ აწვდის საჭირო რაოდენობით ვაგონებს.**

შავი ზღვის ბასეინი გვაძლევს 20 ვაგონის გეგმას დღიურად. რკინის გზა კი 6-ს ძლივს გვაწოდებს,—იძლევიან ცნობას ბათომის ნავთსადგურის სამმართველოში.

—რკინის გზა გვაძლევს საიმპორტო საქონლისათვის 4 ვაგონს დღეში. ჩვენთან კი მხოლოდ ერთი კლიენტის სახელზე მოვიდა 11 ვაგონი, შაქარი, — დასძინეს იქვე.

რამდენიმე ხნის წინად ბათომის ნავთსადგურში, ჩამოდგა გემი, საიდანაც 80 ვაგონი შაქარი გადმოტვირთეს. რკინის გზის პირველმა საექსპლოატაციო განყოფილებამ მხოლოდ 45 ვაგონი მიაწოდა ნავთსადგურს და ზედ გააყოლა შემდეგი „განმარტება": მეტი ვაგონების იმედი ნუ გექნებათ"-ო. ამ განმარტების შედეგად 35 ვაგონი შაქარი დღესაც საწყობშია. და განა მარტო 35 ვაგონი შაქარია საწყობში? იმის გამო, რომ რკინის გზა ვაგონებს არ აწვდის ნავთსადგურს საწყობები ავსილია სხვადასხვა ტვირთით, რომელსაც მომხმარებელი მოუთმენლად ელის. კარგია, თუ საწყობი იტევს ტვირთს, მაგრამ როდესაც იგი აივსება, მაშინ?

მაშინ... მოუსმინოთ ფოთს.

საზღვარგარეთელი გემი „ტრავიატა" მთელი დღეღამის განმავლობაში იდგა ნავთსადგურში. გემი „პლეხანოვი" კი, რომელმაც 27 თებერვალს 250 ვაგონი ფქვილი მოიტანა, ვაგონების უქონლობის გამო 57 საათს გააჩერეს.

ფოთის ნავთსადგურს ზამთრის სეზონში **რკინის გზამ დააკლო 9.630 ვაგონი, ამიტომ ამ ხნის მანძილზე გემები უქმად იდგენ—1.768 საათის განმავლობაში. ზარალი—197.000 მანეთს აღემატება.** ფოთის ნავთსადგურის საწყობებში ამჟამად დაგროვილია 121 ვაგონი მარილი, 88 ვაგონი შაქარი, 30 ვაგონი ფართო მოხმარების საქონელი, 27 ვაგონი ფქვილი და კიდევ ბევრი სხვა რამე. (მათ შორის აზნავთის მილები).

— ეს შედარებით არაფერია — განაცხადა დისპეტჩერმა **ხვიჩიამ.** — უნდა გენახათ რა მდგომარეობა იყო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. მაშინ ნავთსადგურის ტერიტორიაზე გავლაც კი ძნელი იყო.

ეს მდგომარეობა—დღესაც გრძელდება. ამაში დამნაშავეა წყალთა სამმართველოსა და რკინის გზის **გეგმათა უთანხმოება. ფოთის ნავთსადგურმა საზღვაო სამმართველოსაგან მიიღო მაისისათვის საქონლის იმ რაოდენობის გადმოტვირთვის გეგმა, რომელიც მოითხოვს ყოველდღიურად 50 ვაგონს. ხოლო რკინის გზის გეგმით ფოთის ნავთსადგურისათვის საშუალოდ დღეში გამოყოფილია 23,5 ვაგონი.**

ეს მოხდა იმიტომ, რომ დაგეგმვის საქმე მოუგვარებელია, როგორც რკინის გზის ისე საზღვაო სამმართველოში. რკინის გზა და წყალთა სამმართველო თავიანთ გეგმებს არ უგზავნიან ერთმანეთს, არ ათანხმებენ. მდგომარეობას ართულებს კიდევ **კლიენტების დაუდევრობაც.** ისინი დროულად არ ადგენენ მოთხოვნილებას ვაგონებზე და რკინის გზაც თავის გეგმებს „ჰაერზე" ადგენდა. კლიენტები ეხლაც აგვიანებენ მოთხოვნების წარმოდგენას. ივნისის მოთხოვნილება ბევრ მათგანს დღესაც არ წარმოუდგენია. ყველაფერი ეს კი იწვევს საქონლის დაუშვებელ დაგროვებას ბათომისა და ფოთის ნავთსადგურებში, იწვევს გემების გაცდენას, მათი მოძრაობის გრაფიკის დარღვევას, მათ არა სრულად გამოყენებას.

ტვირთთა გროვაში მუშაობს დატრიალებს ნაირნაირი ხალხი. მათ შორის საკმაოდაა წამგლეჯი, ქურდი, საბოტაჟნიკი, იკარგება საქონელი, ფქვილი, შაქარი. ტყდება ყუთები. ფოთის დამცველთა რაზმს მოუხერხებია მარტო ერთ თვეში (მარტი) 11 ქურდის დაპატიმრება.

ასეთია დღეს მდგომარეობა ბათომის (უფროსი ამხ. **გრეკოვი**) და ფოთის (უფროსი—ამხ. **ცრანკელი**) ნავთსადგურებში. მდგომარეობა რა თქმა უნდა, აუტანელია. ამ ნავთსადგურების ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა ააწყონ თავიანთი მუშაობა ისე, როგორც ამას მიუთითებს ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოსა და ს. კ. პ. (ბ) ცკას ისტორიული დადგენილება, რომელიც შეეხება ტვირთზიდვის დაგეგმვას და წყალთა ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნას".

ნ. პაიჭაძე.

სოხუმის ნავთსადგურის მუშაკები ჩაებენ სოცშეჯიბრებაში

(სოხუმი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

სოხუმის ნავთსადგურის მუშაკები **ჩაებენ** წყალთა მეურნეობის მუშაკთა საკავშირო სოცშეჯიბრებაში ტრანსპორტის მუშაობის გასაჯანსაღებლად. მათ იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი, სახელდობრ: დატვირთვა-გადატვირთვის ოპერაციებში გაადიდონ გამომუშავების ნორმა 7,2-დან 8 ტონამდე კაც-ცვლაზე, ფრთხილად მოეპყრან ტვირთს, მოსპონ მისი გაფუჭების, დამტვრევის, დაკარგვის და დაგვიანების შემთხვევები, მთლიანად აღმოფხვრან გემების უქმად დგომა და სწორად გაანაწილონ მუშა-ხელი, მიაღწიონ სათბობის ხარჯვის ნორმების შემცირებას გემებზე ერთი თვის განმავლობაში 10 პროცენტით.

სოხუმის ნავთსადგურის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის წყლის ტრანსპორტის ტექნიკის ათვისებისათვის, დაადგინა არაუგვიანეს ივლისისა ჩააბაროს გამოცდა ტექმინიმუმში.

გ. მაჭავარიანი.

პარტიულ თემაზე

მხოლოდ ნამდვილი გარდაქმნა იძლევა ნაყოფს

(სტალინისი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

სტალინისის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში „გარდაქმნამ" არსებითად არაფერი შესცვალა. პარტიული კომიტეტი (მდივანი თუთისანი) და საამქრო პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაობას ისევ ძველებურად განაგრძობენ... ვრცელი ოქმებით, ინსტრუქციებით და რეზოლუციებით. სწორედ ამ დროს იმატა კომუნისტების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევისა და უპასუხისმგებლო მუშაობის შემთხვევებმა. მიმდინარე შეკეთების საამქროში თებერვალსა და მარტში გაიზარდა დაბალი ხარისხით შეკეთებული ორთქლმავლების გამოშვება. მარტო ერთ თვეში ცუდი ხარისხის შეკეთების—5 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ცუდი ხარისხის გამომშვები უმთავრესად იყვნენ ამ საამქროს **კომუნისტები ალექ. ლვინიაშვილი და კ. ციტელაშვილი.** იანვარში ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევის 17 შემთხვევას, თებერვალში —32, დისციპლინის დამრღვევი —31 კომუნისტი და 2 კომკავშირელი იყო. აშკარაა, ფორმალურად ასე „მუშაობდენ" ორ თვეს...

საჭირო შეიქმნა გარდაქმნის ხელმეორედ ჩატარება. გაითვალისწინა რა პირველი „გარდაქმნის" შეცდომები, ა.-კ. რკინის გზის პოლიტგანყოფილებამ აპრილში ჩაატარა სტალინისის დეპოს პარტიული ორგანიზაციის ხელმეორედ გარდაქმნა. პარტკომის მდივნად აირჩიეს ამხ. **თომაძე.**

გარდაქმნას საფუძვლად დაედო მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმა გაგება, რამაც პირველ დღიდანვე ოპერატიულ-კონკრეტულ მუშაობაში ჰპოვა გამოხატულება. აპრილში შრომის დისციპლინის დარღვევა საგრძნობლად შემცირდა და, რაც მთავარია, დისციპლინის დამრღვევთა შორის კომუნისტები გამონაკლისს შეადგენდენ მაგ.; აპრილში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევის 9 შემთხვევას, აქედან კომუნისტების მიზეზით — მხოლოდ 2 შემთხვევა, ხოლო მაისში ჯერ-ჯერობით პარტიის არც ერთ წევრს არ დაურღვევია შრომის დისციპლინა.

⁂

პარტდავალებათა შესრულების სისტემატიურად შემოწმებისათვის თვითეულ პარტჯგუფის ხელმძღვანელს აქვს პარტდავალებათა სააღრიცხვო რვეული, სადაც იწერება მის ჯგუფში შემავალი კომუნისტებისათვის მიცემული დავალება და შესრულება. ყოველდღე, მუშაობის დასრულების შემდეგ, პარტორგანიზატორი იწვევს პარტჯგუფორგების თათბირს 10—15 წუთით და ეცნობა თვითეული კომუნისტის მიერ გეგმის შესრულებას. ამგვარად პარტორგანიზატორისათვის, ნათელია, თუ როგორ ასრულებენ ავანგარდულ როლს წარმოებაში დეპოს კომუნისტები.

წინათ თუ საორთქლმავლო ბრიგადებში ადგილი ჰქონდა უპასუხისმგებლო მუშაობას, საწვავი მასალის განიავებას, უდისციპლინობას, გეგმების სისტემატიურად შეუსრულებლობას, მას შემდეგ, რაც საორთქლმავლო გუნდებში არჩეულ იქნენ პარტორგები, მსგავსი ფაქტები ძირითადად აღმოიფხვრა. საწვავი მასალის გახარჯვას ადგილი არა აქვს, გადარბენის გეგმები (კილომეტრებში) წარმატებით სრულდება. მემანქანეთა პარტორგმა (ორთქლმავალი № 1) ამხ. **ხვედელიძემ** გეგმის მაღალხარისხობრივ შესრულებაში მიიღო პირველი ჯილდო 900 მანეთი. მეორე გუნდის მემანქანეთა პარტორგი **ჟშენკოც** დაჯილდოვებულ იქნა გადარბენის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

მაგრამ სტალინისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ბევრი დეფექტი აქვს თავის მუშაობაში. მაგალითად სუსტად მუშაობენ ტექნიკის შემსწავლელი წრეები. გაშლილი არ არის მასობრივი პოლიტიკური მუშაობა უპარტიო მუშებს შორის.

რაც შეეხება პარტგანათლების სკოლებისა და წრეების მუშაობას, პარტკომის ხელმძღვანელობა ვერც ამ მხრივ არის დამაკმაყოფილებელი. პოლიტსკოლა სათანადოდ არ არის დაკომპლექტებული. მაგალითად, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი სკოლა სულ 40 კაცს აერთიანებს. აქედან 20 კაცი კარგად მეცადინეობს, 20 კი სრულიად ჩამორჩენილია.

სტალინისის დეპოს პარტორგანიზაციამ აღნიშნული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს.

ალ. გვინჩიძე.

პარტორგანიზატორმა არ იცის როგორ მეცადინეობს პოლიტწრე

ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხნის პარტკომის მდივანმა **ამხ. გრ. ჩერნიკოვმა** შეკითხვაზე, თუ რომელ საამქროს პარტორგანიზატორი ხელმძღვანელობს კარგად პარტგანათლების საქმეს, გვიპასუხა: „ამ მხრივ **ამხ. ვაგან ბალდასაროვი არის მისაბაძიო**". მაგრამ ეს ასე როდია.

სახარატო საამქროს პარტორგანიზატორი ამხ. ვ. ბალდასაროვი გატაცებულია მარტო საწარმოო საკითხებით. რაც შეეხება პარტიის თვითეული წევრის იდეურ-პოლიტიკურად მომზადებას, ამაზე ნაკლებად ფიქრობს. ის არაა დაინტერესებული იმით, თუ როგორ სწავლობენ პარტიის წევრები მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს. ბალდასაროვი ერთხელაც არ დასწრებია ქარხანაში პოლიტსკოლის მეცადინეობას. თავს იმით იმართლებს, რომ საღამოობით კურსებზე სწავლობს და იქ ესწრება პოლიტსკოლის მეცადინეობასო. რადგანაც ის დილის ცვლაზე მუშაობს და პოლიტსკოლის მეცადინეობაც დილით არის, პარტორგანიზატორს სრული შესაძლებლობა აქვს ხანდახან მაინც დაესწროს პოლიტსკოლის მეცადინეობას, რათა წარმოდგენა ჰქონდეს, თუ როგორ მეცადინეობენ პარტიის წევრები.

მართალია, სახარატო საამქროში კარგადაა დაყენებული პოლიტსწავლება. მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს წარმატებით ითვისებენ მუშა **კომუნისტები ს. ისახანოვი, ერ. გრიგორიანი, შმულევიჩი, რუდამეტკინი, ანნა ბალდასაროვა** (დამლაგებელი) და **ალენიკოვი** (უპარტიო) მაგრამ ყველაფერი ეს მიღწეულია პროპაგანდისტ ამხ. **რაისა გრიშენკოს** და პარტკაბინეტის გამგე **გრ. ჟუჟიკაშვილის** კარგი ხელმძღვანელობის შედეგად. ამხ. ჟუჟიკაშვილი არ ზოგავს ენერგიას, რომ მაღალ საფეხურზე აიყვანოს პოლიტსწავლების ხარისხი. მან შეძლო უზრუნველეყო პოლიტწრის მსმენელები ბინით, ლიტერატურით და რჩეული პროპაგანდისტებით. ყავს სათადარიგო პროპაგანდისტებიც. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით მეცადინეობას არ დაესწრება რომელიმე პროპაგანდისტი, მაშინ მის ადგილს დაიჭერს სათადარიგო პროპაგანდისტი. ამრიგად მოსპობილია

პროპაგანდისტი ამხ. **რაისა გრიშენკო** დიდ ყურადღებას აქცევს მსმენელების მიერ განვლილი მასალების შეთვისების ხარისხს. მას ახასიათებს თვითეული მსმენელისადმი განსაკუთრებულად მიდგომა. მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას მჭიდროდ უკავშირებს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებს.

გრ. აროსია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ პარტკოლეგიაში

უმსგავსოებანი გარეუბნის ამხ. კახიანის სახ. კოლმეურნეობაში

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულმა პარტკოლეგიამ 17 მაისის სხდომაზე მოისმინა სპეციალური კომისიის მოხსენება იმ უმსგავსოებათა შესახებ, რომელთაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა დიდუბის (გარეუბნის რაიონი) ამხ. კახიანის სახელობის კოლმეურნეობაში.

რა ხდებოდა ამხ. კახიანის სახელობის კოლმეურნეობაში?

1933 წლის წლიური საწარმოო გეგმა კოლმეურნეობამ შეასრულა მხოლოდ 57,5 პროცენტით; კატასტროფიულად ეცემოდა პირუტყვის სულადობა. ცხენების რიცხვი 1933 წლიდან შემცირდა 60 პროც., ღორების — 75 პროც., მუშა-პირუტყვის — 36 პროც. არავინ ზრუნავდა პირუტყვის საკვებით მომარაგებაზე. ადმინისტრატიულ-სამეურნეო პერსონალის შტატი უზომოდ გაბერილი იყო, ადმინისტრატიული პერსონალს შრომა-დღეებს ურიცხავდენ ნორმაზე ზევით (17 პროც. ნაცვლად 8 პროც.). კოლმეურნეობაში მუშაობდენ დაქირავებული პირები, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ საკოლმეურნეო მეურნეობასთან (პარიკმახერი, ტექნიკოსი, ფეხსაცმელების მოხელე, მომარაგების აგენტი და სხვ.), არ ხდებოდა ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენება.

ადგილი ქონდა საკოლმეურნეო პროდუქციის ([illegible], გოჭები, კურდღლები და სხვ.) განიავებას, საკოლმეურნეო პროდუქცია ნისიად, „სესხად" და ხშირად უფასოდაც ეძლეოდა კერძო პირებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გუგუნავა** ეწეოდა თვალთმაქცურ პოლიტიკას, მან შეცდომაში შეიყვანა რაიონული და ცენტრალური პრესა ცალმხრივი ცნობების მიცემით კოლმეურნეობათა წარმატებების შესახებ. ხელს აფარებდა ზემოდასახელებულ უმსგავსოებებს და ახშობდა კოლმეურნეობის შიგნით თვითკრიტიკას.

კოლმეურნეობის პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციები და სარევიზიო კომისია სრულ უმოქმედობას იჩენდა ზოგიერთ შემთხვევებში დახმარებასაც უწევდა გუგუნავას მის უმსგავსო მოქმედებაში.

პარტკოლეგიის დადგენილებით კახიანის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გიდეონ ტარიელის-ძე გუგუნავას** (პარტიის წევრი 1932 წლიდან) კომყოყოჩობის, თვალთმაქცობის, პრესის შეცდომაში შეყვანის ცალმხრივ მასალების მიწოდებით, თვით კრიტიკის ჩახშობის, საბჭოთა კონტროლის წარმომადგენელთა დაუშვებლობისათვის გამოკვლევებზე და კოლმეურნეობაში არასაღი ატმოსფეროს შექმნისათვის, **მოხსნილია თანამდებობიდან და გარიცხულია პარტიის რიგებიდან.**

კოლმეურნეობის პარტორგანიზატორს (იგივე ფერმის გამგე) **ზაქარია ტარიელის-ძე გუთაშვილს,** პარტმასობრივი მუშაობის სუსტი დაყენებისა და კოლმეურნეობაში არსებულ უმსგავსოებათა წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის, **გამოეცხადა საყვედური:** იგი მოიხსნა პარტორგანიზატორობიდან.

კომკავშირის მდივანი (იგივე კოლმეურნეობის საწყობის გამგე) **კალისტრატე ქაჯაია** (პარტიის კანდიდატი 1932 წლიდან) უმსგავსოების ფაქტების მიჩქმალვისა და ლოთობისათვის **მოხსნილია თანამდებობიდან** საყვედურის გამოცხადებით და გადაყვანილია ფიზიკურ სამუშაოზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ქ. ფირცხალავას,** უმოქმედობისათვის არსებულ უმსგავსოებათა გამომჟღავნებაში **გამოეცხადა საყვედური.** დადგენილების თანახმად, გადარჩეული უნდა იქნეს სარევიზიო კომისია.

წინადადება მიეცა გარეუბნის რაისაბჭოს თავმჯდომარეს ერთი თვით მაინც მიამაგროს ინსტრუქტორი დიდუბის კოლმეურნეობას პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

წინადადება მიეცა გარეუბნის პარტიულ რაიკომს გააძლიეროს ხელმძღვანელობა კახიანის სახ. კოლმეურნეობაზე და პირველ რიგში განამტკიცოს იგი სათანადოდ შემოწმებულ კადრებით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის გუგუნავას საქმე პარტკოლეგიის დადგენილებით გადაეცა პროკურორს.

წუნის ოსტატები

(ბათომი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბათომის ადგილობრივი მრეწველობა აერთიანებს სამ საწარმოს მძიმე მრეწველობის ხაზით, სამს—მსუბუქი მრეწველობის და ხუთს—გემოვნების მრეწველობის ხაზით. ეს საწარმოებია: თუთიის ქარხანა, რომელიც ამზადებს თუთიის ჭურჭლეულობას, მუშაობს მხოლოდ ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაზე; თუჯის ჩამომსხმელი—მექანიკური ქარხანა, ამზადებს ჩაის ფაბრიკების მოწყობილობას და აწარმოებს სხვადასხვა იარაღების შეკეთებას, ქიმიური ქარხანა, რომელიც უშვებს მინერალურ საღებავებს—ოხრას, სურიკს და სხვადასხვა სახის სინთეტიურ საღებავებს, ტყავის ქარხანა, რომელიც დასპეციალდა შევროს დამზადებაზე; ფეხსაცმელების ფაბრიკა და სტამბა-ლიტოგრაფია.

გემოვნების მრეწველობის ხაზით არსებობენ საშაქარლამო ფაბრიკა, ლუდის ქარხანა, უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, სარექტიფიკაციო და არყის სახდელი ქარხნები.

ბათომში ორი წარმოება მუშაობს ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაზე, ეს არის თუთიის ქარხანა და ფეხსაცმელების ფაბრიკა, და არც ერთის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. თუთიის ქარხანა ხშირად ცდება ნედლეულის უქონლობის გამო, ხოლო ფეხსაცმელების ფაბრიკა მართალია გეგმის რიცხობრივ მაჩვენებლებს ასრულებს, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ფეხსაცმელს უშვებს, რომლის ჩაცმა შეუძლებელი ხდება: ჩაცმისთანავე ან ქუსლი მოძვრება, ან დაილრიცება, ან კიდევ გაირღვევა.

პირველ კვარტალში ფაბრიკამ გამოუშვა სულ 60.184 წყვილი ხრომის ფეხსაცმელი, აქედან 1062 წყვილი წუნი გამოდგა. აპრილში გამოშვებული იქნა 4420 წყვილი საქალაქო ფეხსაცმელი, მათ შორის წუნი შეადგენდა 149 წყვილს.

აქ აღსანიშნავი ისაა, რომ ფაბრიკა ხშირად მეორე ხარისხის ფეხსაცმელს პირველ ხარისხად ასაღებს, ხოლო მესამე ხარისხისას—მეორე ხარისხად. პირველ კვარტალში თვით ფაბრიკამ წუნი იანგარიშა 449 წყვილის რაოდენობით, ნამდვილად კი 1062 წყვილი გამოვიდა. ასევე იყო აპრილში: ფაბრიკის ცნობით წუნი უდრიდა 9 წყვილს, ტყავის ნაწარმოების მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციისათვის ჩაბარების დროს კი გამოდგა 149 წყვილი.

ფაბრიკა არ იცავს დაწესებულ სტანდარტებს. ფაბრიკაში არსებობს გაუმჯობესებული ხარისხის ფეხსაცმელის საამქრო, რომელიც უნდა უშვებდეს ლამაზად და სუფთად შეკერილ ფეხსაცმელს. 14 მაისისათვის ფაბრიკაში დაგროვილი იყო 700-დე წყვ. ქალის ტუფლი, რომელსაც „სოიუზკოჟსნაბსბიტი" არ იღებს უმაღლეს ხარისხის ფეხსაცმელად, რადგან ის ულამაზოდ არის შეკერილი. ფაბრიკა თავის მხრივ არ აბარებს მას, როგორც ჩვეულებრივ მასობრივ ფეხსაცმელს, რადგან ამ შემთხვევაში ის 20 მანეთს ზარალობს თითო წყვილზე. „სოიუზკოჟსნაბსბიტ"-სა და ფაბრიკას შორის გრძელდება დაუსრულებელი დავა, გაუსაღებელი პროდუქციის გროვა კი თანდათან იზრდება.

რით აიხსნება წუნის ასეთი დიდი რაოდენობა?

იმით, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელები (**დირექტორი გ. მიკირტიჩიანი**) ყურადღებას არ აქცევენ ხარისხის საკითხს. ფაბრიკას ყავს წუნმდებლები, რომლებიც ძალიან ხელგაშლილად მუშაობენ. მუშები არ არიან დარაზმული ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. ხშირად ფეხსაცმელი სველი გამოდის წარმოებიდან. იმის მაგივრად, რომ ხუთი-ექვსი დღე გააჩერონ კალაპოტში, მეორე-მესამე დღეს იღებენ. ამის შედეგია ის, რომ ფეხსაცმელი ილრიცება და შეუძლებელი ხდება მისი ჩაცმა.

ფეხსაცმელების ფაბრიკამ პირველი კვარტალის გეგმა 102,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო აპრილის —105,7 პროც. ამავე დროს მან უვარგისი პროდუქციის გამოშვებისათვის ჯარიმა გადაიხადა პირველ კვარტალში 8070 მანეთი, ხოლო აპრილში 1372 მანეთი. რა ფასი აქვს გეგმის ასეთ შესრულებას! ბათომის ფეხსაცმელების ფაბრიკა ეფარება გეგმის რიცხობრივ მაჩვენებლებს და უვარგის ფეხსაცმელს უშვებს.

ბათომის ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანიზაციები—აჭარისტანის მრეწველობის კომისარიატი და საგეგმო კომისია ამ საკითხს გულგრილად უყურებენ. არ არის გაშლილი ნამდვილი ბრძოლა ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

აჭარისტანის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და საგეგმო კომისიამ პირი უნდა იბრუნონ „წვრილმან" საკითხებისაკენ.

შ. ბუაჩიძე.

ცუდი მუშაობის შედეგები

(ქუთაისის ძაფსაღები ფაბრიკა).

გასულ წელს ეს ფაბრიკა ერთერთ მოწინავე საწარმოდ ითვლებოდა, მაგრამ წელს მან ვერ შეინარჩუნა გასული წლის ტემპები. ფაბრიკამ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 85,8 პროც. არც აპრილში ყოფილა სახარბიელო მდგომარეობა. ამ თვეში გეგმით უნდა დაემზადებიათ 2500 კ. გრ. ძაფი, ფაქტიურად დაამზადეს 2,067 კ. გრ., რაც შეადგენს გეგმის 82,7 პროცენტს. საერთო პროდუქციის გამომუშავების აპრილის გეგმა შესრულდა 85,6 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების გეგმაც მხოლოდ 96,6 პროცენტით შესრულდა. რა არის ფაბრიკის ჩამორჩენის მიზეზი? უმთავრესად მუშახელის სიმცირე და ნედლი მასალის დაბალი ხარისხი. ფაბრიკა უნდა ამუშავებდეს პირველი და მეორე ხარისხის პარკის ძაფს, ფაქტიურად ამუშავებს მეოთხე-მეხუთე ხარისხისას. აღსანიშნავია სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაუქმნელობა. განსაკუთრებით სუსტია პროფმასობრივი მუშაობა. ფაბკომს დღემდე არა აქვს ამხ. **სტალინის** მოხსენება დამუშავებული მუშათა ბინებში და, საერთოდ, ფაბრიკის მუშათა ფართო მასებში. სუსტი ყურადღება ექცევა პროფკავშირის საწევრო ანარიცხების აკრეფას. ფაბკომმა შემოიღო ასეთი წესი: მუშას სამრეწველო საქონლის ორდერის მიცემის დროს უსინჯავენ პროფწიგნაკს და თუ საწევრო ანარიცხი გადახდილი არა აქვს, ორდერს არ აძლევენ. აი, რა ხეპრულ „მეთოდს" მიმართავს ფაბკომი! არადამაკმაყოფილებელია მუშათა შორის კულტურული მუშაობა, საერთო საცხოვრებლებში დღემდე არ არის მოწყობილი სამკითხველო და რადიო. ფაბკომის მუშაკები ერთხელაც არ შეიხედავენ მუშათა ბინებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიდღესასწაულეთ სოცშეჯიბრების 5 წლისთავი, მუშების უმრავლესობა, განსაკუთრებით მეორე ცვლის მუშები, დარჩენილი არიან სოცშეჯიბრების გარეშე. ამის შედეგია ის, რომ მეორე ცვლის მუშებს შორის შრომის დისციპლინა მოიკოჭლებს, 7 საათის ნაცვლად მუშაობენ 6 საათს, ხოლო ერთ საათს კი სეირნობაში ატარებენ. მოუგვარებელია მუშათა მომარაგება. ყურადღება არ ექცევა დამკვრელთა უპირატეს მომარაგებას, მათ არა აქვთ გამოყოფილი ცალკე კუთხე კოოპერატივში. სასადილოში შემოფარგლეს ერთი პატარა კუთხე დამკვრელებისათვის, მაგრამ იქ ყველა სადილობს. სადილებიც ერთნაირი ხარისხის მზადდება.

ა. მ.

მ. გორკი

საუბარი ახალგაზრდებთან

ადამიანთა უმეტესობა ფიქრობს და მსჯელობს არა იმისათვის, რომ ცხოვრების მოვლენები გამოიკვლიოს, არამედ იმიტომ, რომ იჩქარის პოვნას თავისი აზრისათვის მყუდრო ნავთსაყუდელი, ჩქარობს დაადგინოს სხვადასხვა „უდაო ჭეშმარიტება". ეს სიჩქარე უდაო ჭეშმარიტებათა ფაბრიკაციაში განსაკუთრებით დამახასიათებელია კრიტიკოსებისათვის და ფრიად მავნე გავლენას ახდენს ბელეტრისტების მუშაობაზე. ლიტერატორთა უაღრესად პასუხსაგებ მუშაობაში აქსიომატურობა, დოგმატიზმი და საერთოდ უდაო ჭეშმარიტებათა „კუსტარული" წარმოება აუცილებლად იწვევს ცოცხალი, სწრაფად ცვალებადი სინამდვილის აზრის შეზღუდვას, დამახინჯებას.

ბრძენმა ადამიანმა ენგელსმა სავსებით სწორად აღნიშნა, რომ „ჩვენი მოძღვრება არის არა დოგმა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელო", ხოლო ყველა ჩვენი მოქმედება, მათი საერთო აზრით, მიზნად ისახავს „ძველი მსოფლიოს შეცვლას", ახალის შექმნას. ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ეპოქაში, როცა საოცრად სწრაფად წარმოებს „ძველი მსოფლიოს" ნგრევის პროცესი, რომელთა მიზეზები ყოველმხრივ გულდასმით იყო შესწავლილი და გათვალისწინებული. ინგრევა — რადგან მათ „თავისი დრო მოჭამეს" — კლასობრივი საზოგადოებანი. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ, ისინი ტრაბახობდენ თავის რკინისებურ სიმტკიცეს, სთვლიდენ რა სოციალურ მანქანებათა სიუხვეს შემოქმედებითი ძალების არსებობად. ჩვენს დროში მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია, ნათლად ააშკარავებს რა უძლურებას, უნიჭობას, გვიჩვენებს თავის ერთადერთ ძალას — პოლიტიკურ ცინიზმს. ყველა ქვეყნის მედუქნეებმა, რომელნიც თავის ბელადების პოსტებზე ავანტიურისტებს აყენებენ, რომელნიც მიმართავენ ტერორს, როგორც თავდაცვის ერთადერთ ხერხს, — თავისი ხსნის ერთადერთ საშუალებად გამოაცხადეს ფაშიზმი, ე. ი. კაცობრიობის სხვადასხვა ნაძირალის: ყალთაბანდთა, ისტერიით შეპყრობილთა, დეგენერატთა და შიმშილისაგან დაღუპვის შიშით თავზარდაცემულ ადამიანთა დარაზმვა ბანდიტების არმიად, რომელთაც პოლიციის მეთაურობით უნდა ამოწყვიტონ ჯანსაღი, სოციალური შემოქმედების უნარის მქონე ძალა — რევოლუციური პროლეტარიატი.

ჩვენ, საბჭოების კავშირის ლიტერატორებს, საკმაოდ ნათლად არ გვაქვს წარმოდგენილი აზრი და მნიშვნელობა ბურჟუაზიის ძალების რღვევის პროცესებისა და მისი ცდებისა, შექმნას რღვევის პროდუქტებიდან თავის დაცვის საშუალება. პროლეტარიატის სიცოცხლისუნარიანობის, ნიჭიერების, შემოქმედებითი ძალების მძლავრი პროცესების შესახებ უდაო სიცხადით ეუბნება მსოფლიოს საბჭოების კავშირის პროლეტართა თექვსმეტი წლის გმირული შრომა და ამ შრომის ფანტასტიკური შედეგები. ჩვენ, საბჭოების კავშირის ლიტერატორებს ჯერ კიდევ არ გვაქვს სათანადო წარმოდგენა არც ამ შრომის სიმძლავრის ხარისხზე, არც მის წარმატებათა მრავალფეროვანებასა და სიუხვეზე. ჩვენ გვავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყანა სულ ამ ცოტა ხნის წინათ საოცრად გაუნათლებელი, ყოველგვარი ცრუმორწმუნეობით და ცრურწმენით მოშხამული იყო, რომ მის ერთერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს დახავსებულ სიმახინჯეთა, „ძველი დროის ნაშთთა" ხანგრძლივობა.

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში სახნისი გუთნით შეიცვალა და, როგორც ყველგან მსოფლიოში, ჩვენ აუარებელ შრომას და დროს ვხარჯავდით სხვადასხვა მჭრელი ინსტრუმენტის გალესვაზე. და აი, ჩვენს დროში ჩვენთან აღმოაჩინეს, რომ ყოველი მჭრელი ინსტრუმენტი შეიძლება თვითონ გაილესოს მისი მუშაობის პროცესში, რაც ჩვენ გვაძლევს ასეულ მილიონების ეკონომიას დროის და მასალის მხრივ. ეს ფაქტი, როგორც მრავალი მისთანა ნაკლებად ცნობილი, წარმოადგენს უტყუარ და მამტკიცებელ საბუთს, რომ ჩვენ შეგვწევს ნიჭი არა თუ დავეწიოთ, არამედ კიდეც გავუსწროთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის მძლავრ ტექნიკას. ჩვენ უკვე გავუსწარით ბურჟუაზიას ინტელექტუალური ენერგიის რაოდენობით, და ჩვენში, ისე როგორც არსად მსოფლიოში, ზრუნავენ მისი ხარისხის ამაღლებაზე. ჩვენ გავუსწრებთ ბურჟუაზიას არა მარტო იმიტომ, რომ ბურჟუაზიამ გული აიყარა ტექნიკაზე და იგი — ადამიანთა გაჟლეტის ტექნიკის გამოკლებით — უარს ამბობს საზოგადოებრივად სასარგებლო საგანთა წარმოების ტექნიკის შემდგომ განვითარებაზე, სთვლის მას გამანადგურებლად, გმობს, წყევლის. ამავე დროს კი ჩვენში სწრაფად იზრდება ისეთ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ესმით, რომ ყოველი ახალი აღმოჩენა ტექნიკის დარგში არის არსებულ, მაგრამ ჩვენ მიერ ჯერ კიდევ აუთვისებელ ძალთა ურთიერთი ზემოქმედების აღმოჩენა. სრული, ჩვენი შრომით გამოცდილებით მტკიცედ დასაბუთებული, რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვმუშაობთ შესაძლებლობათა სამყაროში, რომლებიც უსაზღვროდ აღემატება ყველაფერ არსებულს, ყველაფერ იმას, რაც კი შეუქმნია ადამიანის მრავალფეროვან შრომას მრავალი ათასი წლის განმავლობაში. ბურჟუაზიას ეს რწმენა არ გააჩნია და იგი არც ესაჭიროება მას. ის უკვე ამცირებს თავის წრეში ინტელექტუალური ენერგიის რაოდენობის ზრდას და ცვლის ამ ენერგიას თავდაცვისადმი, მეშჩანური საბუდრების, სოროების, ბუნაგების დაცვისადმი თავისი ზოოლოგიური ნებისყოფის აღზრდით ადამიანებში. ყველა მისი მისწრაფება თეორიაში და პრაქტიკაში ერთ მიზანს ისახავს: როგორ შეაჩეროს პროლეტარიატი ხელისუფლებისაკენ მომავალ გზაზე? როგორ დააუძლუროს იგი? აუძლურებენ, რისთვისაც აშიმშილებენ მუშათა მასებს, ქმნიან წვრილი ბურჟუაზიისაგან ბანდიტთა, კაცის მკვლელთა ფაშისტურ ურდოებს, სპობენ პროლეტარიატის ყველაზე ენერგიულ ბელადებს. იმისათვის, რომ ჩვენმა ლიტერატორმა შეიგნოს თავისი პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე და ისწავლოს თავისი დიდი მოვალეობის ღირსეულად შესრულება აუცილებელია ჩვენი დროის მსოფლიოს სურათის ყურადღებით და სერიოზულად შესწავლა. მისწრაფება თვალთახედვის გაფართოებისაკენ, თანამედროვე სინამდვილის შეცნობისა და ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებისაკენაც კი — ასეთი მისწრაფება არც ისე ჩანს ჩვენს ლიტერატორთა შორის, განსაკუთრებით „აღიარებულთა" შორის.

⁂

რა ელემენტებისაგან შედგება მხატვრული ლიტერატურა, სიტყვებით სახეების, ტიპების, ხასიათების შექმნა, სიტყვების საშუალებით ამბების, სინამდვილის, ბუნების სურათების, აზროვნების პროცესების ასახვა?

ლიტერატურის პირველად ელემენტს წარმოადგენს ენა, მისი ძირითადი იარაღი, და—ფაქტებთან, ცხოვრების მოვლენებთან ერთად — ლიტერატურის მასალა. ერთერთი ფრიად ბრძნული ხალხური გამოცანა შემდეგი სიტყვებით განსაზღვრავს ენის მნიშვნელობას: „თაფლი არ არის, მაგრამ ყველაფერს ეკვრება". ამით დასტურდება, რომ ქვეყნად არაფერია ისეთი, რაც დასახელებული, წოდებული არ იყოს. სიტყვა ყველა ფაქტის, ყველა აზრის სამოსია. მაგრამ ფაქტებს იქეთ მათი სოციალური აზრი იმალება, თვითეულ აზრის იქით მიზეზი იმალება: რატომ არის ესა თუ ის აზრი სწორედ ასეთი, და არა სხვანაირი? მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც მიზნად ისახავს ფაქტებში დამალული სოციალური ცხოვრების აზრი დახატოს მთელი მისი მნიშვნელობით, სისრულით და სიცხადით, მოეთხოვება მკაფიო, ზუსტი ენა, გულდასმით შერჩეული სიტყვები. სწორედ ასეთი ენით წერდნენ „კლასიკოსები", რომელნიც მას თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში აწუშავებდნენ. ეს ნამდვილად სალიტერატურო ენაა, და თუმცა მას მშრომელი მასების სამეტყველო ენიდან კრეფდენ, იგი მკვეთრად განსხვავდება თავის პირველწყაროდან, რადგან, გვიხატავს რა აღწერილობითი სახით, იგი სამეტყველო სტიქიიდან ტუჟადებს ყველაფერ შემთხვევითს, დროებითს და არამტკიცეს, კაპრიზიანს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით არ შეეფერება ზოგად ტომურ ენის ძირითად „სულს", ე. ი. წყობას. თავისთავად ცხადია, რომ სამეტყველო ენა რჩება ლიტერატორის მიერ დახატულ ადამიანთა სიტყვებში, მაგრამ რჩება უმნიშვნელო რაოდენობით, რომელიც საჭიროა მხოლოდ დასახატავი პირის უფრო პლასტიკური, მკაფიო დახასიათებისათვის, მისი უფრო გაცხოველებისათვის. მაგალითად, ტოლსტოის „განათლების ნაყოფში" გლეხი ამბობს — „დეისტიტელნო". იყენებს რა ამ სიტყვას, ტოლსტოი თითქო გვიჩვენებს, რომ საეჭვოა გლეხს ნათლად ესმოდეს სიტყვის აზრი, ვინაიდან მისი ცხოვრების ფრიად ვიწრო პრაქტიკა არ აძლევს მას საშუალებას გაიგოს სინამდვილე, როგორც ადამიანთა ნების და გონების მრავალსაუკუნოვანი შეგნებული მოქმედების შედეგი.

ახალგაზრდობაში მეც მივისწრაფოდი გამომეგონა ახალი სიტყვები; ამ გულუბრყვილო მისწრაფების მიზეზი იყო იურისტების — ვექილების, პროკურორების მჭერმეტყველება. მე უცნაურად მეჩვენებოდა, რომ „კეთილი" და „ბოროტი" ერთნაირად ლამაზი სიტყვებით იმოსება, რომ ადამიანთა ბრალმდებელნი და დამცველნი თანაბარი სიმარჯვით იყენებენ ერთსა და იმავე ლექსიკონს. და სასაცილოდ ვწრომობდი — ვთხზავდი „ჩემს სიტყვებს", ვავსებდი მით მთელ რვეულებს. ეხლა ერთერთი „საყმაწვილო სენი" იყო. მადლობა სინამდვილეს: იგი კარგი მკურნალია, მან მალე განმკურნა.

კულტურის ისტორია გვასწავლის, რომ ენა განსაკუთრებით სწრაფად მდიდრდებოდა ადამიანთა ყველაზე უფრო ენერგიული საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეპოქებში, შრომის ახალ ხერხთა მრავალფეროვანებასთან და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად.

ამას ადასტურებს ფოლკლორიც, ანდაზებიც, თქმულებანიც, სიმღერებიც, და ეს სამეტყველო ენის განვითარების ბუნებრივი გზაა. ხელოვნური, თითიდან გამოწოვილი „სახელები" ამ დარგში ისევე უძლურია, როგორც კონსერვატიული დაცვა დაძველებული სიტყვებისა, რომელთა აზრი უკვე წარიხოცა, გაქრა. სიცხადისათვის მოგაგონებთ, რომ პუშკინი დიდად აფასებდა „მოსკოვის მესეფისკვრეთა" ენას, სწავლობდა თავის გამზრდელ არინა როდიონის ასულისაგან. სამეტყველო ენის შესანიშნავი მცოდნე ლესკოვიც სწავლობდა ვამდელისაგან — ჯარისკაცის ცოლისაგან. და საერთოდ უბრალო ვამდელნი, მეეტლენი, მებადურნი, ხოფელელი მონადირენი და ცხოვრების მძიმე პირობებში მყოფი სხვა ადამიანები უეჭველად ახდენენ გავლენას სალიტერატურო ენის განვითარებაზე, მაგრამ ლიტერატორებმა სამეტყველო საყოფაცხოვრებო ენის სტიქიური ნაკადიდან მოახდინონ ყველაზე ზუსტ, მახვილ და ყველაზე აზრიან სიტყვათა უსასტიკესი შერჩევა. ჩვენი დროის ლიტერატორებს ძალიან ცუდად ესმით ასეთი შერჩევის აუცილებლობა, და ეს დიდად ამცირებს მათ ნაწარმოებთა ხარისხს. აქედან — აზრთა სხვადასხვაობა ხარისხის შესახებ წარმოებულ დავაში, აგრეთვე ზარმაცთა და ორპირა ცბიერთა დაჟინებით ცდები მიჩქმალონ დავა, დაიყვანონ იგი გრამატიკის საკითხებამდე, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში დავას სამეტყველო ხელოვნების ხარისხის ირგვლივ აქვს განსაზღვრული, ღრმად სოციალური აზრი.

ლიტერატურის მეორე ელემენტია თემა. თემა — ეს არის ავტორის გამოცდილებაში ჩასახული იდეა, რომელსაც მას ცხოვრება უკარნახებს, მაგრამ რომელიც მის შთამეჭდილებათა საცავში ბუდობს ჯერ კიდევ გაუფორმებელი და, მოითხოვს რა სახეებად ხორცშესხმას, აღძრავს მასში მუშაობის წყურვილს მის გასაფორმებლად.

არსებობს ეგრეთწოდებული „მარადიული" თემები: სიკვდილი, სიყვარული, აგრეთვე ინდივიდუალიზმზე აგებული საზოგადოების მიერ შექმნილი სხვა თემები: ეჭვიანობა, შურისძიება, სიძუნწე და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ ძველად უთქვამთ: „ყველაფერი იცვლება", „არაფერია მარადიული მთვარის ქვეშ", ისევე როგორც მზის ქვეშ. ჩვენს ქვეყნიერებაზე ამოდის რევოლუციის კაშკაშა მზე და გვინათებს, რომ „მარადიული" თემების წყარო იყო და არის პიროვნების მიერ თავისი ტრაგიკული მარტოობის და უძლურების შეგრძნობა კლასთა გააფთრებული ბრძოლის, პიროვნისათვის, ხელისუფლებისათვის ყველას წინააღმდეგ ყველას ბრძოლის საფუძველზე აგებულ საზოგადოებაში. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელ და გარდაუვალ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მის წევრთა უდიდესი უმრავლესობა იძულებულია მთელი თავისი ენერგია მოანდომოს ცხოვრების პრიმიტიული ნახევრად მათხოვრული პირობების მოპოვებას. ადამიანები შეეჩვევნ თავისი ამ ყოფის წვრილ და დამამცირებელ „თავისებურებას", და თუმცა იგი ულმობელად იძულებულს ხდის ყველას მთელი ყურადღება მიაპყროს თავის თავს, იფიქროს მხოლოდ საკუთარ თავზე,—მაგრამ სოციალური წყობილების სიმახინჯე ძალიან ცოტას გაეგება. ადამიანებს საერთოდ სულ უმნიშვნელო ნაწილი გაეგებათ იმისა, რითაც ისინი ცხოვრობენ და რასაც ხედავენ. არა აქვთ დრო იფიქრონ ხილულის აზრზე,—ადამიანი მომწყვდეულია თავის თავზე წვრილმანი ზრუნვის ვიწრო რკალში იგი ტყვედ ყავს ზრუნვას იმაზე, რომ დაიკმაყოფილოს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი, თავმოყვარეობა, მისწრაფება დაიკავოს ცხოვრებაში უფრო მოხერხებული ადგილი. იგულისხმება, ყველაფერი ეს აუცილებელია იმისათვის, რომ იცხოვრო, ბევრისათვის გამომუშავებული ჩვეულება არ იფიქროს იმაზე, რასაც ისინი ხედავენ, თავდაცვის მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენს. ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანები რომ ანგარიშობდნენ თუ რამდენ ენერგიას ხარჯავენ ისინი თავდაცვაზე სახელგავ წვრილმანებზე, თვითმკვლელობათა რაოდენობა, ალბათ, მრავალ ათეულჯერ გაიზრდებოდა.

თუმცა ადამიანი არ ფიქრობს, იმის აზრზე, რასაც ხედავს, მაგრამ ხილული მაინც ილექება სადღაც მის შთაბეჭდილებათა საცავში, აწუხებს ადამიანს, იწვევს მასში სიცოცხლის უაზრობის, „ყოფის არარაობის" შეგრძნობას, მიყავს იგი სამარცხვინო დასკვნამდე— „სულერთია, როგორ იცხოვრებ", მიყავს მისტიკამდე, ანარქიზმამდე, ცინიზმამდე. ასე გამოყოფს ბურჟუაზიული საზოგადოება თავის თავში შხამს რომელიც მას წამლავს და შლის. ჩვენ ვხედავთ, რომ რელიგიურ, მორალურ, ფილოსოფიურ დოგმებს არ ძალუძთ შეაჩერონ ბურჟუაზიული საზოგადოების ლპობის და დაშლის პროცესი. პირობებში, რომლებსაც უქმნის, სოციალისტური საზოგადოება ქმნის, ლიტერატურის „მარადიული" თემები ნაწილობრივ სრულიად კვდება, ქრება, ნაწილობრივ კი იცვლება მათი აზრი. ჩვენი ეპოქა აყენებს შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვან და ტრაგიკულ თემებს, ვიდრე არის ერთეული ადამიანის სიკვდილი, რაც უნდა დიდი იყოს მისი სოციალური ღირებულება ინდივიდუალისტებს ეს ვერ ანუგეშებს, მაგრამ ინდივიდუალიზმი ისტორიის მიერ სასიკვდილოდაა განწირული.

ლიტერატურის მესამე ელემენტია სიუჟეტი, ე. ი. ადამიანთა კავშირი, წინააღმდეგობანი, სიმპატიები, ანტიპატიები და საერთოდ ურთიერთობა—ტიპის ამათუიმ ხასიათის ზრდის და ორგანიზაციის ისტორია. მგონია, რომ ამ სამი ელემენტით თითქმის მთლიანად ამოიწურება ლიტერატურის ცნების შინაარსი, თუ ამ ცნებას განვსაზღვრავთ „ბელეტრისტიკით", დრამით, რომანით, მოთხრობით. შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ხერხებზე, „სტილზე", მაგრამ ეს უკვე ავტორთა ნიჭის სუბიექტური თავისებურებანია. იგულისხმება, რომ ამ თავისებურებათა იქეთაც იმალება მათი „გენეზისის" წარმოშობის და განვითარების ესა თუ ის ობიექტური მაჩვენებელი.

⁂

ახლა რამოდენიმე სიტყვა რეალიზმზე, როგორც XIX საუკუნის ლიტერატურის ძირითად, უფართოეს და უაღრესად ნაყოფიერ მიმდინარეობაზე, რომელიც XX საუკუნეშიც გადმოდის. ამ მიმდინარეობის დამახასიათებელი თავისებურებაა მისი მახვილი რაციონალიზმი და კრიტიციზმი. ამ რეალიზმის შემოქმედნი იყვნენ უმთავრესად ისეთი ადამიანები, რომელთაც ინტელექტუალურად თავის წრის გაუსწრეს და რომელნიც თავისი კლასის უბეში ფიზიკური ძალის იქეთ ნათლად ხედავდნენ მის სოციალურ შემოქმედებით უძლურებას. ამ ადამიანებს შეიძლება ვუწოდოთ ბურჟუაზიის „უძღები შვილები"; ისე, როგორც საეკლესიო ლეგენდის გმირი, ისინი თავს აღწევდნენ მამების ტყვეობას, დოგმების, ტრადიციების [illegible], და ამ განუდგომილთა სახელად უნდა ითქვას, რომ მათგან არც ისე ბევრი ბრუნდებოდა თავის კლასის წიაღში, რომ შემწვარი ხბო ეჭამა. ჩვენს დამოკიდებულებაში XIX საუკუნის ევროპელ ლიტერატორ—რეალისტებისადმი ფრიად შესამჩნევ როლს ასრულებს შეფასებანი ბურჟუაზიული კრიტიკისა, რომელიც, არკვევდა რა ენის, სტილის, სიუჟეტის ღირსებებს და ნაკლოვანებებს, სრულიადაც არ იყო დაინტერესებული იმაში, რომ გადაეშალა, გაეშიშვლებინა ფაქტების [illegible] მასალის სოციალური აზრი. ბალზაკის მუშაობის სოციალური ღირებულება მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა გაიგეს. სტენდალი კრიტიკამ „მიჩქმალა". ჩვენში უცხოურ ლიტერატურას ლექციებში ძალიან ცოტას კითხულობენ და კიდევ უფრო ნაკლებად იცნობენ დასავლეთის ავტორთა ბიოგრაფიებს, მათი ზრდის პროცესებს, მუშაობის ხერხებს.

ბურჟუაზიის „უძღებ შვილთა" ლიტერატურა უაღრესად მნიშვნელოვანია სინამდვილისადმი თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით, თუმცა ნოველების და რომანების ავტორნი, რა თქმა უნდა, არ მიუთითებდნენ გამოსავალზე იმ ბინძური ანარქიიდან, რომელსაც მსუქანი და გამძღარი მეშჩანობა ქმნის. მხოლოდ თითო-ოროლა ავტორი, უმთავრესად მეორე ხარისხოვანი, პოპულარული ფილოსოფიის და გავლენიანი კრიტიკის მითითებათა თანახმად, ცდილობდა დაემკვიდრებინა ზოგიერთი დოგმატიური უდაო ჭეშმარიტება, რომელთაც შეურიგებელ წინააღმდეგობათა შერიგების გზით, უნდა დაეფარათ ბურჟუაზიის საზოგადოებრივი წყობილების აშკარა და საზიზღარი სიმახინჯე. XIX საუკუნეში, როცა მეცნიერება და ტექნიკა განსაკუთრებულად წარმატებით აფართოებდნენ, ამაგრებდნენ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მატერიალურ საფუძვლებს, საფრანგეთის ლიტერატურა, —ევროპაში გაბატონებული ლიტერატურა, —სრულიადაც არ ყოფილა აღტაცებული ევროპის მეშჩანობის ამ მექანიკური საქმიანობით და არ ეძებდა მისი „მაშინდელი" ზრდის გამართლებას.

XIX საუკუნის ლიტერატურის ძირითად და მთავარ თემას წარმოადგენდა პიროვნების მიერ თავისი სოციალური ყოფის უმყარობის პესიმისტური შეგნება; შოპენჰაუერი, გარტმანი, ლეოპარდი, შტირნერი და ბევრი სხვა ფილოსოფოსი ამ შეგნებას ამაგრებდნენ სიცოცხლის კოსმიური უაზრობის ქადაგებით, რომელსაც საფუძვლად ედო, რა თქმა უნდა, პიროვნების სოციალური უმწეობა, სოციალური მარტოობის იგივე შეგნება. ახალ სინამდვილეში, რომელსაც ქმნის პროლეტარიატი, საბჭოების კავშირის დიქტატორი, პიროვნება, არქტიკის უდაბნოებში გადაკარგულიც კი ცხოვრობს რა სიკვდილის მუდმივი მუქარით, თავს მარტოდ და უმწეოდ არ გრძნობს.

XIX საუკუნე უმთავრესად პესიმიზმის ქადაგების საუკუნეა. XX საუკუნეში ეს პროპაგანდა გადაიქცა სავსებით ბუნებრივად სოციალური-ცინიზმის ქადაგებად იმ „ჰუმანიზმის" სრულ და გადაჭრით უარყოფად, რომელიც ასე მოხერხებულად კულტუ-

ქუთაისის რაიმიწგანი არ არის მზად

მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველად

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის რაიონში ვენახები გაშენებულია 1.089,5 ჰექტარზე, აქედან 54,5 ჰექტარი კოლმეურნეობებშია, ხოლო დანარჩენი ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ვენახების პირველი შეწამვლისათვის რაიონი შაბიამნით უზრუნველყოფილია. შაბიამანი უკვე გადასროლილია ადგილებზე. მაგრამ შეწამვლის საქმე მაინც ვერ მიდის საჭირო ტემპით. პირველი შეწამვლა უნდა დამთავრდეს 25 მაისამდე. 20 მაისისათვის კი წამლობა ჩატარებული იყო ინდივიდუალურ მეურნეობებში 790 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეობებში — 50 ჰექტარზე.

სამარცხვინო მდგომარეობაა ბაღების შეწამვლის მხრივ. ხეხილის ფართობი მთელ რაიონში უდრის 400 ჰექტარს, აქედან კოლმეურნეობებშია 47 ჰექტარი, დანარჩენი კი ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ბაღების პირველი წამლობა ჩაიშალა. მეორე წამლობაც ფაქტიურად ჩაშლილია. 20 მაისამდე ჩატარებულია, მხოლოდ 125 ჰექტარზე. მიზეზი? — „ობიექტიური" პირობებია! მავნებლებთან ბრძოლის საზოგადოება გაუქმდა და ჩვენ არ ვიყავით ამისათვის მომზადებულიო — თავს იმართლებენ სამიწადმოქმედო განყოფილებაში. მაგრამ სახკომსაბჭოს დადგენილება მავნებლებთან ბრძოლის საზოგადოების გაუქმების შესახებ ხომ იანვარში გამოვიდა, ნუ თუ იანვრიდან მარტამდე (მხოლოდ 10 მარტიდან აიყვანეს აგრონომი - სპეციალისტი მავნებლებთან ბრძოლის დარგში) არ შეიძლებოდა ამ საქმის საკუთარ ხელში აღება!

პირველი შეწამვლისათვის შხამები ჰქონდათ, მაგრამ ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ბაღების შეწამვლა ჩაიშალა.

ვენახების შეწამვლისათვის შაბიამნის გარდა საჭიროა გოგირდი. ქუთაისის მიწგანში წუწუნებენ, რომ გოგირდი წელს სრულებით არ გვაქვს, მიწსახკომმა არაფერი მოგვცაო. ამავე დროს ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ **მიწგანიდან რამდენიმე ასეულის ნაბიჯის მანძილზე, „საქ. სასოფლო-სამეურნეო მომარაგების" ქუთაისის განყოფილებაში 1931 წლიდან აწყვია 650 კილოგრამი გოგირდი.** მიწგანმა ამის შესახებ არაფერი იცის.

მავნებლებთან ბრძოლის საზოგადოების გაუქმების შემდეგ რაიონებს შხამებით ამარაგებს „საქ. სასოფლო-სამეურნეო მომარაგება". 19 მაისს ამ ორგანიზაციის ქუთაისის განყოფილებამ ახლო-მახლო რაიონებისათვის მიიღო 6401 კილო შაბიამანი; აქედან 1778 კილო მიეცა ხონს, 2108 კილო ტყიბულს, და 2016 კილო ონს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რაიონებს გაფრთხილება შაბიამნის მიღების შესახებ ჯერ კიდევ 16 მაისს დაეგზავნათ, მათ არ მიიღეს ზომები შაბიამნის დაუყოვნებლივ გამოსყიდვისათვის. მაგალითად, ტყიბულმა კუთვნილი შაბიამანი წაიღო 21 მაისს, ხონმა—20 მაისს, ხოლო ონმა—22 მაისს.

ქუთაისის რაიონი ძირითადად მებოსტნეობის რაიონია. ბოსტნების ფართობი, როგორც ვთქვით აქ 1750 ჰექტარს უდრის. როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ დროს მშრალი ამინდებია. ეს ქმნის პირობას მავნებლების გაჩენისათვის. ასე, მაგალითად, 21 მაისს ქუთაისის მებოსტნეობის ზონალურმა სადგურმა აცნობა მიწგანს, რომ სადგურის ფართობზე აღმოჩნდა ველის ფარვანას პეპლები. პატრიკეთიდან იტყობინებიან, რომ 2 ჰექტარზე კომბოსტოს გაუჩნდა მავნებელი (ფსხიტი), რომელიც მოსპობილი იქნა ხელით, ხოლო 0,5 ჰექტარზე შეწამვლით.

ეს მოწმობს, რომ ჩვენ ვდგევართ მავნებლების გავრცელების საფრთხის წინაშე. **ქუთაისის მიწგანი კი მომზადებული არ არის მავნებლებთან საბრძოლველად.**

შ. ბუაჩიძე.

ვენახები შეწამლეს, ხეხილი მიივიწყეს

(თელავი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონში წელს უნდა შეიწამლოს 2.758 ჰექტარი ვენახი და 50 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

ვენახების შესაწამლად რაიონს ესაჭიროებოდა 77.012 კილოგრამი შაბიამანი. შაბიამნის ეს რაოდენობა თელავმა დროზე მიიღო. აქედან 40 ათასი კილოგრამი გაანაწილეს პუნქტებზე, დანარჩენიც წინანდლის საწყობშია და საჭიროების მიხედვით გადაიტანენ პუნქტებში.

ვენახის შეწამვლისათვის მზადება რაიონმა ადრე დაიწყო. ამ საქმის ინიციატივა აიღო მევენახეობის საკავშირო ინსტიტუტმა, რომელიც თელავში არსებობს. მან ჩაატარა მევენახეობის სპეციალისტების თათბირი ვენახის შეწამვლის საკითხებზე. თათბირმა გადაწყვიტა, რომ წელს, პირველად თელავის რაიონში, ვენახის შეწამვლა ჩატარდეს მიულერის მეთოდით. მიულერის მეთოდი გულისხმობს ვენახის შეწამვლას არა საერთო, სტანდარტული ვადების დაცვით, არამედ რაიონის კონკრეტული პირობების ტემპერატურის და ვაზის ავადმყოფობის გამოჩენის ნიშნების გათვალისწინებით.

ამ თათბირის გადაწყვეტილების მიხედვით რაიმიწგანი და სამანქანო-სატრაქტორო სადგური, მევენახეობის საკავშირო ინსტიტუტთან ერთად, შეუდგენ ოპერატიულ მუშაობას. მევენახე - აგრონომები ყოველდღიურად ამოწმებდენ ვენახებს. ჩატარებული მუშაობით დადგენილ იქნა, რომ ვაზის ავადმყოფობის გამოჩენა მოსალოდნელი იყო 23 მაისისათვის. გადაწყდა ვენახების შეწამვლას შესდგომოდნენ 15 მაისიდან.

შეწამვლა, საერთოდ, ორგანიზებულად დაიწყო. საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა გადამწყვეტ დღეებში მთელი ძალები ვენახების შეწამვლას მოახმარეს. ზოგიერთმა მათგანმა ძალიან მალე მოათავა შეწამვლა, მაგ., **ნაფარეულის მ. ცხაკაიას** სახელობის კოლმეურნეობამ 17 მაისს დაიწყო შეწამვლა და 19 მაისს დაამთავრა, **გურგულას სტალინის სახ. კოლმეურნეობა** ერთ დღეს მორჩა შეწამვლას, რუისპირის კოლმეურნეობა ორ დღეს.

მიულერის მეთოდით მუშაობა ახალი საქმე იყო და ყოველგვარი დეფექტი არ ყოფილა თავიდან აცილებული. მაგალითად, **კონდოლის** კოლმეურნეობის („გზა სოციალიზმისაკენ") ბრიგადირმა ამხ. **არტ ლეშკაშელმა** ვაზის ავადმყოფობა (ჭრაქი) შეამჩნია რაიმიწგანის სიგნალამდე. მან ჯერ კიდევ 13 მაისს კატეგორიულად მოითხოვა დაუყოვნებლივ დაეწყო შეწამვლა; მაგრამ წინანდლის პუნქტმა (გამგე **ამ. ვეფხვიაშვილი**) კონდოლის კოლმეურნეობას არ მისცა შაბიამანი, რადგან პუნქტს მიწგანის ნებართვა არ ჰქონდა მიღებული. კოლმეურნეობას კი არ შეეძლო ნებართვისათვის ეცადა და იძულებული გახდა ვენახი კერძო ბაზარზე შეძენილი შაბიამნით შეეწამლა. ამ კოლმეურნეობამ შეწამვლა 15 მაისს დაამთავრა, ხოლო მიწგანიდან შაბიამანი 19 მაისს მიიღო.

აუცილებელია, რომ მომავლისათვის ეს მდგომარეობა გათვალისწინებული იქნას. მეურნეობებს უნდა ექნეთ შაბიამნის გარკვეული მარაგი; რათა მოულოდნელი შემთხვევების დროს შეეძლოთ მისი გამოყენება.

თელავის რაიონმა ვენახების შეწამვლა დაწესებულ ვადისათვის (22 მაისი) ძირითადათ დაამთავრა. ამჟამად წარმოებს დასეტყვილი ვენახების შეწამვლა. მათი რაოდენობა 350 ჰექტარს აღწევს. სეტყვისაგან დაზიანდა წინანდლის საბჭოთა მეურნეობის, ნაფარეულის, ვარდისუბნის და სხვ. კოლმეურნეობების ვენახები.

ვენახის მეორე შეწამვლა ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყება.

⁂

თელავის რაიონს **ბაღების შეწამვლა** გეგმით არ აქვს გათვალისწინებული. არც შესაწამლი ნივთიერებაა ამ მიზნისათვის გამოყოფილი. ისე კი, სხვათაშორის, შეუდგენ ხეხილის შეწამვლასაც, მაგრამ 22 მაისამდე სულ შეწამლული იყო რაღაც 5—6 ჰექტარი (50 ჰექტარიდან).

რაიმიწგანის მევენახე აგრონომი ამხ. **ნიკ ჟღენტი** ირწმუნებოდა, რომ „ამ დარგში არაფერია საგანგაშო", ავადმყოფობის ნიშნები არ ჩანს, არც მავნებლები აწუხებენ ხეხილს"... თითქოს ამ აზრის გასაქარწყლებლად, 22 მაისს რაიმიწგანის აგრონომმა **ვლ. ჩიტალაძემ**, და სამ. სატ. სადგურის აგრონომმა **ბ. ელიზბარაშვილმა** რაიმიწგანს წერილობით განუცხადეს, რომ მთელ რიგ სოფლებში (ლაფანყური, სანიორე; ოყიო) ხეხილს გაუჩნდა ავადმყოფობა (განსაკუთრებით ჩრჩილი—ვაშლს) და საჭიროა სასწრაფო ზომები. ისინი ითხოვენ შაბიამანს.

გამოდის, რომ ხეხილის ბაღების შეწამვლის მხრივ არაა სანუგეშო მდგომარეობა. რაიმიწგანმა (გამგე ამხ. ვ. მაისურაძე) ახლავე უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მივიწყებულ ფრონტს. ხეხილის ბაღები სასწრაფოდ უნდა შეიწამლოს.

ან. ჭურუა.

თავთავიანი კულტურების გამარგვლა ჭიანურდება

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონმა როგორც გასული წლის საშემოდგომო, ისე მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვა ვადაზე ადრე და მაღალხარისხობრივი მაჩვენებლებით დაამთავრა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს მოსავლისათვის ბრძოლა უკვე დამთავრებული იყოს. ხშირმა წვიმებმა ხელი შეუწყო სარეველა ბალახების ზრდას, ამიტომ რაიონის წინაშე დაისვა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — სარეველა ბალახებით დანაგვიანებული ნაკვეთების მთლიანად გაწმენდა.

რაიონში თავთავიანი კულტურების სარეველა ბალახებისაგან დაცვა-გამარგვლა ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებიდან დაიწყო. პირველ ხანებში ეს სამუშაოები მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობდა, ადგილი ჰქონდა აშკარა თვითდინებაზე მინდობას. ამის გამო ქვ. ქედის ფ. მახარაძის სახ. კომუნაში სარეველა ბალახი დაღუპვით ემუქრებოდა 400 ჰექტარამდე პურეულს.

7 მაისისათვის კომუნას გამარგლული ჰქონდა მხოლოდ 4 ჰექტარი. როგორც კომუნის გამგეობა, ისე პარტორგანიზატორი ნაკლებად ფიქრობდენ არსებული მდგომარეობის გამოსწორებაზე. კომუნის პარტორგანიზატორი ხიზანაშვილი ყანების გამარგვლის შესახებ უპასუხისმგებლოდ აცხადებდა: — ეს საქმე მე არ მეხება, ამაზე გამგეობაა პასუხისმგებელიო.

ასეთივე საგანგაშო მდგომარეობა იყო დანარჩენ სოფ. საბჭოებში. მაგრამ რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ჩარევის და მთელ რიგ ღონისძიებათა გატარების შემდეგ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა.

ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნამ" (თავმჯდომარე გ. ბეჟაშვილი) ყველა კულტურების მარგვლა 12 მაისისათვის დაამთავრა.

წითელ წყაროს კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს" (თავმჯდომარე დ. ბოსტოღანაშვილი) 18 მაისისათვის გამარგლული ჰქონდა 14 ჰექტარი. ქალთა და მოზარდთა შრომა ნათესების გამარგვლაში აქ გამოყენებულია 100 პროც. მარგვლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ № 1 ბრიგადის ქალთა ჯგუფორგანიზატორი თლა ბენაშვილი და № 2 ბრიგადის ჯგუფორგანიზატორი კატო ბოსტაშვილი.

ამასთან ერთად აღსანიშნავია მშრომელი ერთპიროვნული გლეხების მასობრივად გასვლა თავთავიანი კულტურების გასამარგლად. მარტო 11 მაისს ს. ნუკრიანში ყანების გასამარგლად მინდვრად გასული იყო 300 ერთპიროვნული მშრომელი გლეხი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გამარგვლის მიმდინარეობა დამაკმაყოფილებლად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება, რომ თავთავიანი კულტურების ყველა ნათესის გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან დამთავრებულიყო 15 მაისამდე, არ არის შესრულებული. ნათესების მარგვლა საგრძნობლად დაგვიანდა როგორც უკანა მხარეში, ისე განსაკუთრებით წინა მხარეში.

მიწგანის ცნობით, **20 მაისისათვის რაიონში 32.000 ჰექტარიდან გამარგლული იყო 3.016 ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში — 2.095 ჰექტარი.**

რაიმიწგანის ხელმძღვანელები ამას ხსნიან იმით, რომ ადგილებზე სას. საბჭოებს თითქოს მოუწესრიგებელი აქვთ აღრიცხვაო, რაც სწორი არ არის.

ყანების გამარგვლაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სასწრაფო გარდატეხა. მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლით, თვითდინების ძირშივე აღკვეთით, ყველა ძალების და საშუალებების მოხერხებულად გამოყენებით ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ყანების გამარგვლის უახლოეს დღეებში დამთავრება.

ლ. ასტვაცატუროვი

ბდენ და ამაყობდენ კიდეც ყველა ქვეყნის მეშჩანები. შოპენჰაუერის თანაგრძნობის, შებრალების ეთიკას—ეკლესიურ, ფარისევლურ ეთიკას,—რომელიც ძალიან ბევრის მიერ იყო მიღებული, ისტერიული გაბოროტებით უარყოფს ნიცშე და კიდევ უფრო გადაჭრით, უკვე პრაქტიკულად—ფაშიზმი. ჰიტლერების ფაშიზმი—ეს არის პესიმიზმის გამოვლინება მეშჩანობის კლასობრივ ბრძოლაში ხელისუფლებისათვის, რომელიც მას უსხლტება დასუსტებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მაგარ თათებიდან.

უნდა დავძინოთ, რომ ერთეულების სოციალური ყოფის უადრესი უმტკიცობის, უმყარობის შეგრძნობა და გაგებაც კი უფრო არ ყოფილა თითო კაპიტალის უფრო ნიჭიერ მსახურთათვის. XIX საუკუნის ბურჟუაზიის თითქმის ყველა ის „დიდი" და „გამოჩენილი" ადამიანი, რომელთა შემდეგ დარჩა და გამოქვეყნდა მათი მემუარები, დღიურები, წერილები, ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გამოუსწორებლად ცუდად არის მოწყობილი ბურჟუაზიული საზოგადოება.

პროლეტარიატის, საბჭოებს კავშირის დიქტატორის, დამსახურებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ის ფაქტი, რომ მისი განსაცვიფრებელი გმირული საქმიანობა წმენდავს მსოფლიოს პესიმიზმის ხავსისა და ჟანგისაგან.

⁂

ბურჟუაზიის „უძღებ შვილთა" რეალიზმი იყო კრიტიკული რეალიზმი: იგი ამხილებდა საზოგადოების მანკიერებას, ხატავდა ოჯახური ტრადიციების, რელიგიური დოგმატების უფლებრივი ნორმების კლანჭებში მოქცეული პიროვნების „ცხოვრებას და თავგადასავალს", მაგრამ კრიტიკულ რეალიზმს არ შეეძლო ეჩვენებია ადამიანისათვის გამოსავალი ტყვეობიდან კრიტიკისათვის ადვილი მისაწვდომი იყო ყოველივე არსებული, მაგრამ დასამტკიცებელი არაფერი იყო, გარდა სოციალური ცხოვრების, და საერთოდ „ყოფის" აშკარა უაზრობისა ამას ხმამაღლა ამტკიცებდა მრავალი, დაწყებული, მაგალითად, ბაირონით 32 წლის გარდაცვლილ ტომას გარდიმდე, შატობრიანის და სხვათა „[illegible] საიქიოდან" ბოდლერამდე და ანატოლ ფრანსამდე, რომლის სკეპსისი ძალიან უახლოვდებოდა პესიმიზმს. ზოგიერთი ლიტერატორი პესიმიზმს კათოლიციზმით ცვლიდა, მაგრამ „[illegible] ბოლოკზე ტკბილი როდია"—ყველა ეკლესია თითქმის ერთნაირი დაჟინებით შთააგონებდა ადამიანებს სიცოცხლისათვის ბრძოლაში უძლურების შეგნებას. რელიგიის მავნებლობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს მის მისწრაფებაში მოადუნოს ყოველგვარი ენერგია, რომელიც კი გვერდს უვლის ეკლესიის მატერიალურ და ანგარებით აღსავსე ინტერესებს, და ერთ ერთმა ხუცესმა „ქრისტეს მოადგილემ ამ ქვეყნად", სავსებით მართებულად თქვა: „ქრისტიანობა სამღვდელოებისათვის [illegible] ხელსაყრელია"-ო. ჩვენში ხალისით და ბევრს წერენ სოციალისტური რეალიზმზე და ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა ავტორმა გოგოლის შესახებ დაწერილ სტატიაში საინტერესო აღმოჩენა გამოაქვეყნა: „გოგოლი სოციალისტური რეალისტი იყოო. ეს აღმოჩენა საინტერესოა იმით, რომ გვიჩვენებს, თუ რა უაზრობამდე შეიძლება დავიდეს ლიტერატურულ-კრიტიკული ჭეშმარიტებათა კუსტარული წარმოება და გვიჩვენებს თუ როგორ სუსტად გრძნობს მწერალი პასუხისმგებლობას თავისი სიტყვებისათვის მკითხველთა წინაშე.

ლიტერატურული რეალიზმს საქმე აქვს ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის რეალურ ფაქტებთან. „რევიზორის" და „მკვდარი სულების" ეპოქაში, რამდენადაც ცნობილია, არავის მიერ და არსად რუსეთში არ ყოფილა შემჩნეული სოციალისტური ხასიათის ფაქტები. ამ არც ისე უმნიშვნელო მიზეზის გამო ლიტერატორ ნ. [illegible] გოგოლს არ შეეძლო აესახა ასეთი ფაქტები ხლესტაკოვის, ჩიჩიკოვის, სობაკევიჩის, ნოზდრევის, პლიუშკინის და მისი სხვა ტიპების ცხოვრება-საქმიანობაში. მაშასადამე: გოგოლი ყალბად მიჩნეულია სოციალისტურ რეალისტად, იგი არის რეალისტ-კრიტიკოსი, და იმდენად ძლიერი რომ თითონ სიგიჟემდე შეაშინა საკუთარი კრიტიციზმის ძალამ.

ეს როდია ერთად ერთი შემთხვევა, როცა სიგიჟეს დიდად საგულისხმო სოციალურ-ფილოსოფიური მნიშვნელობა ეძლეოდა. გენიას ნაკლებობას არასოდეს არ ჰქონია ასეთი მნიშვნელობა და არც შეიძლება ჰქონდეს: მეტად უცნაურია, რომ ზოგიერთ [illegible] ეს არ გაეგება.

სოციალისტური რეალიზმი ლიტერატურაში შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ, როგორც შრომის პრაქტიკის მიერ მოცემული სოციალისტური შემოქმედების ფაქტების ასახვა. შეიძლება თუ არა ასეთი რეალიზმი გაჩნდეს ჩვენს ლიტერატურაში? არა თუ შეიძლება, არამედ უნდა გაჩნდეს კიდეც, ვინაიდან რევოლუციურ—სოციალისტური შემოქმედების ფაქტები ჩვენში უკვე არის და მათი რაოდენობა სწრაფად იზრდება. ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც «დიდების, სახელის,, გმირობის" საქმენი იმდენად ჩვეულებრივი ფაქტები ხდება, რომ მრავალმათგანს უკვე პრესაც კი არ აღნიშნავს. ლიტერატორები მათ არ აღნიშნავენ იმიტომ, რომ ლიტერატორთა ყურადღება ჯერ ისევ მიიმართება კრიტიკული რეალიზმის ძველი კალაპოტით, რომელიც (კრიტიკული რეალიზმი) ბუნებრივად და სამართლიანად „ცხოვრების უარყოფით მოვლენებზე" „დახელოვნდა". აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი სიმახინჯე მხედველობის სისუსტე, სიყალბე თვალთმაქცობა და სხვ. აგრეთვე ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული მოვლენებია და ეს მიზეზები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული.

კრიტიკული რეალიზმის კონსერვატიული სიმყარის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია ლიტერატორთა პროფესიული ტექნიკური კვალიფიკაციის ნაკლებობა, ან, აშკარად რომ ითქვას ცოდნის ნაკლებობა,—«უმეცრება», უუნარობა დაინახონ, გაიგონ. ამ მიზეზს ხშირად ერთვის ემოციური მიდრეკილება წარსულისაკენ, დახავსებული ბაბუისაკენ, რომელსაც სიცოცხლეში ერთი „პერსპექტივა" დარჩენია — კრემატორიუმი. ამასვე ამ მიზეზს, უნდა მიემატოს „ნაკლებ წინააღმდეგობის ხაზი" მუშაობაში: ხის დამუშავება უფრო ადვილია, ვიდრე ქვის ქვისა უფრო ადვილია, ვიდრე რკინის რკინისა უფრო ადვილია, ვიდრე ფოლადის, ხოლო დახატო ცხოვრება ხის პატარა, ერთსართულიან განკერძოებულ სახლში გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ცხოვრება ქვის ან რკინა-ბეტონის მრავალსართულიან სახლში.

მცირეზე, წვრილმანებზე მუშაობის ჩვეულებას შედეგად მოსდევს ის, რომ როცა ჩვენი ლიტერატორი ხელს კიდებს დიდ სიუჟეტს, მაგალითად სამრეწველო კომბინატის მშენებლობას, იგი აზრობრივ, იდეოლოგიურ თემას ზედმეტად ტვირთავს მრავალი უწვრილმანესი დეტალის აღწერით და მას მარხავს თავისი მჭევრმეტყველების ქაღალდის ყვავილების, ჩვეულებრივ არც ისე ფერადი ყვავილების, უზარმაზარი გროვის ქვეშ. დეტალიზაცია ჰარბობს და ვნებს იქაც კი, სადაც იგი უფრო შესაფერისია სადაც ადამიანის ინდივიდუალისტისაგან კოლექტივისტად ხელახალი აღზრდის, გარდაქმნის პროცესები შედარებით უფრო ნელა ვითარდება. მაგალითად, საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამავე მიდრეკილებით დეტალებისადმი ვხსნი სამწუხაროდ, მაგრამ ჩვენში აგრეთვე ჩვეულებრივ ფაქტებსაც: ლიტერატორი დახაზებულად გადასცემს თავისი წიგნის პირველ ნაწილს, ხოლო შემდეგი ნაწილები არ არის, ვინაიდან მან უკვე დახარჯა მთელი დაგროვებული მასალა და მეტი მას არაფერი აქვს სათქმელი.

მუშაობის დაწყება დიდი რომანებით—ეს ფრიად ცუდი მანერაა, სწორედ ამას მიეწერება ის, რომ ჩვენში მრავალი სიტყვიერი ნაგავი გამოდის. წერა უნდა ვისწავლოთ პატარა მოთხრობებზე, როგორც იქცეოდა თითქმის ყველა სახელგანთქმული მწერალი დასავლეთისა და ჩვენში. მოთხრობა გვაჩვევს სიტყვების ეკონომიას, მასალის ლოგიკურ განლაგებას, სიუჟეტის სიცხადეს და თემის თვალსაჩინოებას. მაგრამ, როცა მე ვურჩიე ერთ ნიჭიერ ლიტერატორს შესვენებულიყო რომანისაგან, დაეწერა მოთხრობები, მან მიპასუხა: «არა, მოთხრობა ფრიად საძნელო ფორმაა". გამოდის, რომ ზარბაზნის გაკეთება უფრო ადვილია, ვიდრე დამბაჩისა.

ჩემი საუბრის შესავალი მეტად მრავალსიტყვიანია, მაგრამ იგი აუცილებლად მიმაჩნია ახალგაზრდა ლიტერატორებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ლიტერატურული შრომის სიძნელეზე, იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც მათ ეპოქა უყენებს, და ლიტერატორის პასუხისმგებლობაზე მკითხველის წინაშე. ქვეყანად ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მკითხველი, რომელსაც ჰქონდეს დაემსახურებინოს სიყვარულის და პატივისცემის უფლება, როგორც ამის ღირსია ჩვენი მკითხველი.

მივცეთ მრეწველობას 2.800 ტონა საუკეთესო აბრეშუმის პარკი

ზინა ჯიბლაძე

საუკეთესო მეაბრეშუმეა

(ჩოხატაური, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

— წელს 64 კილო აბრეშუმის პარკს ჩავაბარებ სახელმწიფოს, — განაცხადა ჩოხატაურის რაიონის გოგოლის უბნის მეაბრეშუმე **ზინა ჯიბლაძემ,** რომელიც სანიმუშოდ უვლის აბრეშუმის ჭიას. იგი 20 წელიწადზე მეტია მეაბრეშუმეობას ეწევა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჭია გაფუჭებოდეს.

1932 წელს ნახევარ კოლოფ ინკუბაციაქმნილ თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 38 კილოგრამი პარკი. 1933 წელს კი ერთი კოლოფი თესლიდან 62 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი აიღო. **სამაგალითო მუშაობისათვის ზინა ჯიბლაძე შარშან დააჯილდოეს, მისცეს 100 მანეთი ფული და 10 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.** გარდა ამისა პარკის საფასურად მიიღო 300 მანეთი ფული, 107 კილოგრამი მარცვლეული, 35 მეტრი თეთრეული და სხვა სამრეწველო საქონელი.

ამ გამარჯვებას ზინა იმით აღწევს, რომ საუკეთესოდ აქვს შესწავლილი აბრეშუმის ჭიის მოვლისა და კვების წესები. გამოსაკვებად ჰყავს ინკუბაციაქმნილი აბრეშუმის ჭია, რომელიც საუკეთესო მოსავალს იძლევა და შედარებით უფრო უძლებს არახელსაყრელ პირობებს. პირველ ჰასაკში საკვებად აძლევს დაჭრილ ფოთოლს დღეში 7-8 ჯერ. ჩამორჩენილ ჭიებს საკვებს აძლევს 9 ჯერ, რომ დააჩქაროს მათი განვითარება და გაუთანაბროს დანარჩენებს. ბუდნას უცვლის 3 ჯერ თვითეულ ჰასაკში. ბუდნის გამოცვლას უკავშირებს კანის გამოცვლის დასაწყისსა და დამთავრებას. წვიმიან ამინდში ბუდნას უფრო ხშირად უცვლის. საკვებ ფოთოლს ამზადებს დილით და საღამოთი. ჭია დაჯენილი ჰყავს ლასტებზე თხლად, რომ ერთმანეთი არ შეავიწროონ.

ზინა ჯიბლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სისუფთავის დაცვას. ჭიის გამოსაკვებ ბინას დღეში ორჯერ ასუფთავებს სველი ტილოთი, რომ მტვერი არ დააცვივდეს აბრეშუმის ჭიის ნაზ სხეულს. სიცხეში მაგრად კეტავს კარებსა და ფანჯრებს, რომლებზედაც ფარდებს აფარებს, შიგნით კიდებს სველ ტილოს, რომ ტემპერატურა დაიწიოს. ცივ ამინდში საჭიე შენობას ათბობს ღუმელით, სისტემატიურად ასუფთავებს ჰაერს.

ამ წესებს ზინა მტკიცედ იცავს. ამით აიხსნება, რომ იგი ერთ კოლოფ თესლზე ყოველ წლიურად იღებს საშუალოდ 60—64 კილოგრამ აბრეშუმის პარკს.

ზინას, როგორც საუკეთესო მეაბრეშუმეს, წელს გამოსაკვებად აქვს მიცემული ჯიშიანი თესლი; მის მიერ მოყვანილი აბრეშუმის პარკიდან მომავალ წელს დამზადდება დასარიგებელი თესლი.

ამჟამად ზინა ჯიბლაძის ჭია მესამე ჰასაკში იმყოფება, ჭია ისე კარგად არის მოვლილი, რომ ვერც ერთ ჩამორჩენილს და განუვითარებელს ვერ ნახავთ. ჩოხატაურის რაიაბრეშუმის მითითების თანახმად იგი მეხუთე ჰასაკში ჭიას გამოკვებავს კავალონის სისტემით.

მეაბრეშუმეობასთან ერთად ზინა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საკოლმეურნეო და საოჯახო საქმეებში.

მეზობლები მისგან სწავლობენ აბრეშუმის ჭიის მოვლას.

ზრ. მ—ა.

მზადება აბრეშუმის პარკის შესყიდვისათვის

საქართველოს მეაბრეშუმეობის ტრესტი შეუდგა აბრეშუმის პარკის შესყიდვისათვის მზადებას. წინასწარი ვარაუდის თანახმად, წელს შესყიდულ უნდა იქნეს სულ 2.800 ტონა აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის შესყიდვა იწარმოებს 156 მიმღებ პუნქტზე. მათ შორის პარკის გადამუშავება იწარმოებს 98 პუნქტზე. გასულ წელს მუშაობდა 40 მექანიკური სახმობი. წელს მოწყობილია და ამუშავდება აბრეშუმის პარკის 5 ათამექანიკური სახმობი.

პარკის დამზადებისათვის საჭიროა 15.000 მეტრი ტომრების შესაკერი ტილო. ტრესტს ჯერჯერობით აქვს მხოლოდ 9.000 მეტრი, დანარჩენი რაოდენობა ჯერ მიღებული კიდევ არ არის.

20-დან—25 მაისამდე მეაბრეშუმეობის ტრესტმა ადგილებზე მოაწყო აბრეშუმის პარკის მხარშველების მოსამზადებელი 5-დღიანი კურსები. მომზადდა სულ 132 კაცი. გარდა ამისა, პარკის მოხარშვაზე გამოყენებულ იქნებიან მეაბრეშუმეობის საწარმოთა ძველი, გამოცდილი მუშები.

ცეკავშირს წინადადება მიეცა დააჩქაროს აბრეშუმის პარკის დამზადებისათვის გამოყოფილ სამრეწველო საქონლის სარაიონო ბაზებიდან სოფლის კოოპერატივებში გადატანა, რომ მეაბრეშუმეებმა ეს საქონელი აბრეშუმის პარკის ჩაბარებისთანავე მიიღონ.

პელაგო. სანაძე ასწავლის მეზობლებს აბრეშუმის ჭიის მოვლას

1 კოლოფ თესლიდან 5 ფუთი აბრეშუმის პარკი

(ხონი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

პელაგო სანაძეს ხონის რაიონში იცნობენ როგორც საუკეთესო მეაბრეშუმეს. იგი ოცდაათი წელიწადია მეაბრეშუმეობას ეწევა. ზედმიწევნით აქვს შესწავლილი აბრეშუმის ჭიის მოვლის წესები. 1926 წლამდე აბრეშუმის ჭია პრიმიტიული წესით გამოჰყავდა და თუმცა საუკეთესოდ უვლიდა, კოლოფ თესლიდან 3 ფუთზე მეტ მოსავალს ვერ ღებულობდა.

პელაგომ 1927 წელს ზამთარში გაიგო ინკუბატორის არსებობა, დაინტერესდა ამ საქმით. გაეცნო ინკუბაციის წესებს, ადრე გაზაფხულზევე შეუდგა მზადებას. ინკუბატორის პრინციპზე შინაურულად მოაწყო უბრალო ღუმელი, ნათლად დაინახა და მეზობლებსაც დაანახვა ინკუბატორის უპირატესობა.

რაიონულმა ორგანიზაციებმა პელაგო გაგზავნეს მეაბრეშუმეობის მოკლევადიან კურსებზე, სადაც მას შეასწავლეს ინკუბატორზე მუშაობა და აბრეშუმის ჭიის მოვლის წესები.

ამის შემდეგ პელაგო მეაბრეშუმეობის ნამდვილი ენტუზიასტი გახდა. მუშაობს ინკუბატორზე და ხელმძღვანელობას უწევს მეზობელ მეაბრეშუმე ქალებს ჭიის მოვლაში. წინათ თუ ერთ კოლოფზე მეტს არ კიდებდა ხელს, ახლა 3 კოლოფი გამოჰყავს და მოსავალსაც 5 ფუთამდე იღებს კოლოფზე.

აი, როგორ მუშაობს პელაგო:

აბრეშუმის ჭიის გამოყვანამდე 10 დღით ადრე უკეთებს დეზინფექციას სადგომს (ფორმალინით, გოგირდით), ასუფთავებს ლასტებს (ჩელტებს). გამოკვების დამთავრებისთანავე ნაცარ-ტუტით რეცხავს ლასტებს, აშრობს მათ მზეზე და შემდეგ წმენდს სუფთა ჩვარით, გამოკვების შემდეგ ბინასაც უკეთებს დეზინფექციას.

პირველ ორ ჰასაკში ჭიას აძლევს დაჭრილ ფოთოლს დღეში 6-ჯერ (დილის 5 საათზე და შემდეგ ყოველ სამ საათში საღამოს 10 საათამდე).

მესამე და მეოთხე ჰასაკში ჭიას საჭმელს აძლევს 3-4-ჯერ, ხოლო მეხუთე ჰასაკში განუწყვეტლივ დღე-ღამ, სანამ პარკის ახვევას არ დაიწყებს.

ბუდნას უცვლის თითო ჰასაკში ორჯერ, კანის ცვლის დაწყებისას და დამთავრებისას. კვების დროს ბინას ასუფთავებს დღეში ორჯერ სველი ტილოთი, რომ მტვერი არ დააცვივდეს ჭიას. იცავს ნორმალურ ტემპერატურას.

პელაგოს ჭიის გამოკვება უგრძელდება 33-34 დღე, როცა მის მეზობელ **სალომე ფანცულაიას** კვება უგრძელდება 40-45 დღე. პელაგო კოლოფ თესლზე მოსავალს ღებულობს 5 ფუთამდე, სალომე ფანცულაია კი არა უმეტეს 3-3,5 ფუთისა.

მისი ჭია ეხლა მეხუთე ჰასაკს ამთავრებს და ორ-სამ დღეში პარკის ახვევას დაიწყებს.

გასულ წელს აბრეშუმის პარკში პელაგომ მიიღო 340 მანეთი ფული, 7 ფუთი ხორბლეული, 16 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 180 მანეთის სამრეწველო საქონელი.

— წელს კიდევ უფრო მეტს მივიღებ, — დარწმუნებით ამბობს პელაგო, — მეტს მიიღებენ ჩემი მეზობლებიც, ვინაიდან მათ აბრეშუმის ჭიას გაცილებით უკეთ მოუარეს, ვიდრე წინათ უვლიდნენ.

ნ. ტუმალაძე

მექანიზირებული კვების გამოცდა კარგ შედეგს იძლევა

ხონი, სპეც. კორ. ამხ. აკ. ჟღენტის მიერ გამოგონებულ აბრეშუმის ჭიის მექანიზირებულ საკვებ ბარაბანის გამოცდა ხონის მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობაში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ბარაბანისათვის ახლად აგებულ დიდ შენობაში მოწყობილია ლაბორატორია, საინკუბაციო კამერა, პატარა მექანიზირებული გამოსაკვები ბარაბანი უნცროსი ჰასაკის ჭიებისათვის, ორი დიდი ბარაბანი უფროსი ჰასაკის ჭიებისათვის, თუთის ტოტების დასაჭრელი განყოფილება და ოთახი, სადაც დაჭრილ ტოტებს აწყობენ ჩარჩოებში.

პირველი გამოკვების ჭია (ბარაბანზე მოთავსებულია 10 კოლოფი) უკვე მეხუთე ჰასაკში და კარგად არის მოვლილი. რამდენიმე დღეში დაიწყება პარკის ახვევა. მეურნეობას უკვე დაწყებული აქვს მეორე გამოკვება. მეურნეობის მუშაკებს იმედი აქვს, რომ წელს ხუთ მოსავალს (ხუთ გამოკვებას) მიიღებენ.

საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში

სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

„საბჭოთა კავშირში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" გამოცემულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 27 მარტის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 18 №-ი, მუხ. 141) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს გადააკეთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო განყოფილება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოდ და დააკისროს მას:

ა) სახელმწიფო კონტროლის გაწევა ყველა ბიბლიოთეკის მუშაობისათვის იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ორგანიზაციას ეკუთვნის იგი;

ბ) ხელმძღვანელობის გაწევა ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისათვის და ბიბლიოგრაფიული დაწესებულებისათვის;

ბ) ხელმძღვანელობის გაწევა ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისათვის და ბიბლიოგრაფიული დაწესებულებებისათვის;

გ) ბიბლიოთეკებისათვის გამოცემათა სარეკომენდაციო სიების შედგენა;

დ) საბიბლიოთეკო კადრების სისტემატიური შესწავლა, შერჩევა და მომზადება;

ე) საერთო საბიბლიოთეკო სტატისტიკური ცნობების შეგროვება;

ვ) ყველა ბიბლიოთეკის აღრიცხვა;

ზ) სახალხო განათლების ორგანოების საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ქალაქად და სოფლად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს მოაწყონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო განათლების ცენტრალური ორგანოებთან და ტფილისის საქალაქო საბჭოს სახალხო განათლების კულტურულ-მასობრივ განყოფილებასთან საბიბლიოთეკო სექტორები.

წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოაწყოს პროფესიონალურ კავშირთა ბიბლიოთეკების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საბიბლიოთეკო მუშაობის სექტორი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აპარატში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქალაქო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად. დააწესოს 1935 წლის იანვრის 1-დან სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებებში ბიბლიოთეკის ინსპექტორის თანამდებობა, რომელსაც დააკისროს პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელისათვის და კონტროლის გაწევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფესიონალური კავშირები, კოოპერაცია და სხვ.) საბიბლიოთეკო მუშაობისათვის.

4. სხვადასხვა უწყების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქსელში შემავალი ბიბლიოთეკების მუშაობის საერთო საფუძვლების დასაწესებლად და ამ მუშაობის შეთანხმებლად, მოეწყოს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოსთან საბიბლიოთეკო საქმის საბჭო, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოსი, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტიკური სექტორისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ამიერკავკასიის რკინისგზელების დირექციისა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა, გამომცემლობა „სახელგამისა", ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისა", „ტექნიკა და შრომისა", „ფედერაციისა", „პარტგამომცემლობისა", სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათ-მცოდნეობის კაბინეტისა და აგრეთვე საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილი მომუშავენი.

5. დადგენილ იქნეს საქალაქო, სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ მომუშავეთა დანიშვნის წესი — სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებების მეშვეობით.

პროფესიონალურ კავშირთა ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ მომუშავეთა დანიშვნა და დამტკიცება განხორციელდება სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციების მეშვეობით.

ყველა ბიბლიოთეკარმა აუცილებლად უნდა გაიაროს საკვალიფიკაციო კომისია, რომელსაც მოაწყობს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველო.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების, სახალხო კომისარიატს მოახდინოს ხელახალი რეგისტრაცია ყველა ბიბლიოთეკისა, მათ რიცხვში საუწყებო ბიბლიოთეკებისა.

ახლად გახსნილ ბიბლიოთეკას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებაში.

7. პასუხისმგებლობა მასობრივი ბიბლიოთეკების (სასოფლო, სარაიონო, საქალაქო, ქოხ-სამკითხველოებთან, საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან არსებული ბიბლიოთეკები და აგრეთვე საბავშვო ბიბლიოთეკები) მდგომარეობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოს.

პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკების უშუალო მმართველობისათვის და ბიბლიოთეკების მუშაობისათვის საწარმოებსა და პროფესიონალურ კავშირთა კლუბებში დაეკისროს პროფესიონალურ ორგანიზაციებს, ხოლო სახალხო განათლების ორგანოებს დარჩეს უფლება კონტროლი გაუწიონ ამ ბიბლიოთეკების ქსელს და მათ მუშაობას.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ სექტორთან ერთად, მოაწყოს საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან საყრდენი ბიბლიოთეკები და დაეკისროს მათ მუშაობა საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებისათვის დახმარების აღმოსაჩენად წიგნით და აგრეთვე საკოლმეურნეო აქტივის მომსახურება წიგნით, ლიტერატურის სპეციალურად შერჩევის საშუალებით.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს შექმნას თვითეულ სკოლაში საბავშვო ბიბლიოთეკა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მიაქციოს ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა მტკიცე და სისტემატიური მუშაობა მკითხველების ინსტრუქტირებისათვის წიგნების სარგებლობის წესისა და, უპირველეს ყოვლისა; წიგნებისადმი გაფრთხილებით მოპყრობის შესახებ.

დაევალოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და უწყებებს ჩაატარონ ანალოგიური მუშაობა მათ გამგებლობაში არსებული ბიბლიოთეკების ხაზით.

ბიბლიოთეკის მოშლისა, საბიბლიოთეკო ფონდის გაფლანგვისა, ბიბლიოთეკის უყაირათოდ შენახვისა და აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნების მითვისებისა; დაკარგვისა და გაფუჭებისათვის დამნაშავე პირი აუცილებლად მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის წესით.

11. მკითხველთა უკეთესად მომსახურებისათვის საჭიროა ფართოდ იქნეს შემოღებული პრაქტიკაში წიგნების გაცვლა ბიბლიოთეკებს შორის სპეციალურ საკითხებზე.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს შეიმუშაონ ღონისძიებანი 1934 წლის განმავლობაში ყველა არსებული ბიბლიოთეკის აღწერის ჩასატარებლად მომავალში დააწესონ ბიბლიოთეკების პერიოდული ანგარიშგება.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს დაიწესოს, გამომცემლობებთან და გავრცელების ორგანოებთან ერთად, გამოცემათა ტირაჟის წილი, რაც დაჯავშნილი უნდა იქნეს ბიბლიოთეკების მოსამარაგებლად.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, მოაწყოს 1935 წლის იანვრის 1-დან ცენტრალური საბიბლიოთეკო კოლექტორის მიერ ბიბლიოთეკების უშუალო მომსახურება და მის მიერვე აქ ბიბლიოთეკების წინასწარი შეკვეთების შესრულება ახალი ბიბლიოთეკების დასაკომპლექტებლად.

საბიბლიოთეკო კოლექტორი გათანასწორებულ იქნეს წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციებთან და წინადადება მიეცეს ყველა გამომცემლობას მისცეს საბიბლიოთეკო ქსელს გამოცემები სათანადო მოკლებით.

15. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოაწყოს მკითხველთა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მომსახურება საქართველოს წიგნის პალატასთან და ეს უკანასკნელი შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოს სისტემაში.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიასთან ერთად; გაშალონ ბიბლიოთეკის მომუშავეთა კადრების მოზადება და გადამზადება ისეთი ანგარიშით, რომ მეორე ხუთწლედის დასასრულს სახელმწიფო, მნიშვნელოვანი საქალაქო, სარაიონო და დიდი საქარხნო-საფაბრიკო ბიბლიოთეკების ინსტრუქტორთა შემადგენლობა და ხელმძღვანელი კადრები დაკომპლექტებულ იქნეს, ნახევრად მაინც. უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე მომუშავეებით (250 კაცი).

17. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის შედგენილობაში 1934-1935 სასწავლო წლიდან გამოჰყოს ბიბლიოთეკათმცოდნეობის სექცია ერთ ჯგუფად დამტკიცებული კონტინგენტების და ასიგნობების ფარგლებში.

18. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს საკითხი 1935 წლის იანვრის 1-დან ქ. ტფილისში ერთი სპეციალური საბიბლიოთეკო ტექნიკუმის გახსნის შესახებ ისე, რომ ტექნიკუმის მსმენელთა შეგროვება ხდებოდეს რაიონებიდან წინასწარი განაწილების მიხედვით.

19. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოამზადონ 1934-35 წლებში საკურსო ღონისძიებების საშუალებით მასობრივი ბიბლიოთეკების არა ნაკლებ 70 მომუშავისა და უზრუნველჰყონ გადამზადება ძირეული საბიბლიოთეკო მომუშავეების არსებული შედგენილობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

20. დაწესებულ იქნეს სტიპენდიები საბიბლიოთეკო სასწავლებლებში პედაგოგიური სასწავლებლებისათვის დადგენილი რაოდენობით.

21. რადგანაც ბიბლიოთეკების დაფინანსება არასაკმარისია, რადგანაც გადადებული თანხების მიცემა უგეგმოდ და არა რეგულიარულად სწარმოებს და რადგან საბიბლიოთეკო მუშაობისათვის გათვალისწინებული სახსარი ზოგჯერ სხვა მიზნისათვის იხარჯება, — დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს — დააწესონ ბიბლიოთეკების მტკიცე ხარჯაღრიცხვა და სახსარის თავის დროზე მიცემა ლიტერატურის შესაძენად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს საკონტროლო ციფრების შედგენის დროს მხედველობაში მიიღონ საბიბლიოთეკო საქმისათვის სახსარის გადიდების აუცილებლობა.

22. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს 1934-1935 წლების განმავლობაში გაუკეთონ რემონტი ყველა საბიბლიოთეკო შენობას, უზრუნველჰყონ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში ნორმალური გაწყობილობა და საჭირო კულტურული პირობები.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მშენებლობის გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალ საბიბლიოთეკო შენობათა მშენებლობას.

23. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას ბიბლიოთეკის სადგომების გამოყენება სხვა მიზნისათვის და ბიბლიოთეკის გადატანა უარეს სადგომში. ამ მოთხოვნის დამრღვევნი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

24. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოაწყოს 1934 წელს, სათანადო დაწესებულებების მონაწილეობით, ბიბლიოთეკების საწარმო მომარაგება საბიბლიოთეკო გაწყობილობის და ტექნიკის საგნებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე:
გ. ჟურულაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ჟღენტი

1934 წ. მაისის „14" ტფილისი.

ა.-კ. რკ. გზის მუშაობა

24 მაისი

ნავთის ჩასხმა (ცისტერნები)

გეგმა	შესრულება	შესრ. პროც.
835	862	103

დატვირთვა (ვაგონები)

დავალება	შესრულება	შესრ. პროც.
958	965	101

საექსპლ. განყოფილებებიდან

	დავალება	შესრულება
სამტრედიის	402	327
ტფილისის	163	164

გზაზე გრაფიკის მიხედ ით მოძრაობდა სამგზავრო მატარებლების 74 პროც. და სატვირთო მატარებლების 56 პროცენტი.

მარგანეცი

23 მაისს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.026	2.896	95,7

ვაგონების მიწოდება

მოთხოვნა	მიაწოდეს	დატვირთა
200	200	200

ამინდი საქართველოში

23 მაისის დილის 8 საათიდან 25 მაისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში ყველგან მოღრუბლული ამინდი, ხანგამოშვებით წვიმები; 24 მაისს დილით წვიმა ყველგან შესწყდა და გამოიდარა. 24 მაისს შავი ზღვის სანაპიროებზე ქროდა დასავლეთის ძლიერი ქარი.

ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 14 გრადუსიდან (შოვი) 22 გრადუსამდე (ქიათურა) და ღამით — 7-დან (ფურთიო, აჭარისტანი) 15 გრადუსამდე (გაგრა და სოხუმი).

აღმოსავლეთ საქართველოში დღისით ზოგიერთ რაიონში მშრალი ამინდი იდგა; საღამოთი და ღამით მოვიდა ელჭექის ხასიათის წვიმები. მუხრანის რაიონში ქროდა დასავლეთის ძლიერი ქარი, დანარჩენ რაიონებში — სუსტი და ზოგგან ზომიერი ქარი.

ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით — 10-დან (გუდაური) 26 გრადუსამდე (ყარაია) და ღამით — 3-დან (გუდაური) 14 გრადუსამდე (ლაგოდეხი).

მოსალოდნელი ამინდი 26 მაისისათვის. დასავლეთ საქართველოში მოღრუბლულობის მომატება, მცირე წვიმა (უმთავრესად შავი ზღვის სანაპირო რაიონებში). დასავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი. დღისით — ტემპერატურის მცირე დაწევა.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად სიმშრალე, სუსტი ქარი. ტემპერატურის მცირე ცვალება.

◆

ბიბლიოგრაფია

გ. შამათავა — „ცხენის მოვლა-მოშენება", 1934 წ.

დღემდე ზოგიერთი გამომცემლობა პოპულარულ ლიტერატურას არა კრიტიკულად ეპყრობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ზოოტექნიკ შამათავას ბროშურა „ცხენის მოვლა-მოშენება" საქ. მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველოს უფროსი მ. ჩხეიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. (ბროშურა დაწერილია მე-17 პარტყრილობის შემდეგ).

ამ წიგნაკში მ. ჩხეიძე მიგვითითებს დასავლეთ ევროპაზე: „თუ გადავხედავთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს თვალს, იქ მეცხენეობა სათანადოდ არის განვითარებული, საკმაოდ მდიდარი არიან აგრეთვე სათანადო ლიტერატურითაც". (ხაზი ჩვენია. ნ. ც.). ჩხეიძე ვერ ხედავს დასავლეთ ევროპის მეცხენეობის დეგრადაციას. და ამის შემდგომ იძლევა შამათავას ბროშურის შეფასებას: „რომ ცოტათი მაინც შევსებულ იქნას ეს ნაკლი, ამ წიგნაკის გამოცემას ჩვენი ფიქრით აუცილებლივ თავის პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებაო".

ვ. შამათავა კი თავის ნაცოდვილარ ბროშურაში „გვიმტკიცებს", რომ გერმანელ გლეხმა მშვენივრად იცის, რომ ფურ-კამეჩი მეტად მშვენიერ რძეს იძლევა, მისი ხორცი იჭმევა და სხვ., მაგრამ ის, როგორც პრაქტიკოსი შეგნებულიცაა და კამეჩის მოშენებას არ აწარმოებს, ვინაიდან „ცხენის ძალის გამოყენება სოფ. მეურნეობაში გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა და უფრო რენტაბელურია, ვიდრე ხარ-კამეჩი" (გვ. 5). შამათავას აზრით კამეჩის მოშენება შეუგნებლობაზეა აღმოცენებული, ბოროტებაა. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ჩამოყალიბებულია რამდენიმე სარძევე-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა. ასეთი უაზრო დაპირისპირება ცხენისა და ხარ-კამეჩის, როგორც მუშა საქონლის, დროისა და გარემოს გარეშე ყოვლად დაუშვებელია.

შამათავასთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ კამეჩი, როგორც მუშა-საქონელი დაბლობი ჭაობიანი რაიონებისათვის (ენდემიური ავადმყოფობის და სხვათა გამო) თითქმის შეუცვლელი ცხოველია Пород. район. жив. З. С. Ф. С. Р. Н. И. И. Ж. რით მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობის მიზანია „შექმნას ჯიშიანი ცხენები და უზრუნველყოს წითელი ჯარი კარგი ცხენებით თავდაცვის საჭიროებისათვის" (გვ. 6), ხოლო მეცხ. საკოლმეურნეო ფერმების მიზანი კი ყოფილა „უხელმძღვანელოს ცხენთა მოშენება-განვითარების საქმეს, როგორც კოლმეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეობებში რესპუბლიკის მასშტაბით" (გვ. 6). აქ ავტორი ყოვლად უსუსურ აზრს ავითარებს მეცხენეობის საკოლმეურნეო ფერმას ანდობს რესპუბლიკაში მეცხენეობის განვითარების საქმეს როგორც კოლმეურნეობაში, ასევე ინდივიდუალურ მეურნეობაში.

ცხადია, ამ უაზრო, უშინაარსო და ყალბ ფრაზას, საკოლმეურნეო ფერმისათვის ზიანის მოტანის გარდა არაფერი დადებითი არ შეუძლიან.

ცხენების ტიპის გავრცელების საკითხზე ჩვენში ავტორი წერს: „როგორც საერთოდ ჩვენშიაც გავრცელებულ უნდა იქნეს 2 ტიპის ცხენი: შესაჯდომი (იგივე შესაბმელი) და სასოფლო მეურნეობის ცხენები" (გვ. 7). საიდან აიღო შამათავამ ასეთი ტიპის ცხენების საჭიროება, გაუგებარია. რამდენადაც გაუგებარია თუ რას წარმოადგენს მისი ტიპის ცხენები. მოშენების მეთოდზე ის წერს: „მომშენებლობა უნდა ვაწარმოოთ ორი მეთოდით: 1) თვითმომშენებლობა, 2) მეტიზაცია" (გვ. 7). რა მეთოდია ეს თვითმომშენებლობა? შამათავა არ იძლევა „თვითმომშენებლობის" მეთოდის ახსნას თუ რას გულისხმობს იგი ამ თვითმომშენებლობაში და ამის მაგვარი არც ზოოტექნიკაში არსებობს. მას გაუგებრობის გარდა არაფერი კარგის შექმნა არ შეუძლია.

შამათავა „გვიმტკიცებს", რომ კარგია წმინდა არაბული ცხენი ჩვენი მეცხენეობის გასაუმჯობესებლად. ძნელი საშოვნელი რომ არ იყოს, ვინაიდან იგი „მეტად ახლო სდგას ადგილობრივი ჯიშის ჩვენს ცხენებთან". ხოლო თათრულ და თექური ჯიშის ცხენებს არ შეუძლიანთ „გავლენა მოახდინონ ჩვენს ადგილობრივ ცხენებზე, ვინაიდან მეტად ახლო დგანან მათთან"-ო (გვ. 8-9). პირველიც და მეორეც შამათავას თქმით „ახლო სდგას ჩვენს ადგილობრივ" ცხენებთან, მაგრამ ამავე ნიშნით პირველი გამოსადეგია, ხოლო მეორენი გამოუსადეგარი. რატომ? ალბათ ავტორისათვისაც გაუგებარია მისივე უშინაარსო და გაუგებარი ფრაზა.

3. შამათავა ვერ იძლევა მეცხენეობის ტექნიკის მთელ რიგ ელემენტარულ საკითხთა წესიერ გადმოცემასაც კი. აი, მაგალითად: „როდესაც ნათლად ჩანს, რომ ულაყმა არ გამოუშვა თესლი, ულაყს აშორებენო". (გვ. 13). თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ცხენმა თესლი გამოუშვა თუ არა, ამის შესახებ შამათავა არაფერს ლაპარაკობს, მეცხენეობის ტექნიკას კი ამის გაგების სრულიად მარტივი წესი გააჩნია. სრულიად არაფერია ნათქვამი ცხოველთა დაგრილების წინ ვეტერინარულ ზედამხედველობის შესახებ. შამათავას ბროშურა ყველა „სიკარგესთან" ერთად, ყოვლად უვარგისი ენითაა დაწერილი.

ყოვლად გაუმართლებელია ასეთი გულგრილი ბროშურის გამოცემა, ისიც მეცხენეობის სამმართველოს თავმჯდომარის ჩხეიძის რედაქციით.

ძალიან შორს წაგვიყვანდა ყველა იმ შეცდომების განხილვა, რომელიც ბროშურაშია. აღნიშნულიც საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ საგამომცემლო ორგანოებმა მეტი მოთხოვნილება წაუყენონ პოპულარულ ლიტერატურას, რათა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მასაში დანერგვის ნაცვლად ადგილი არ ექნეს უმეცრებისა და ყალბ შეხედულებათა გავრცელებას სახელმწიფო გამომცემლობებმა უნდა უზრუნველყონ ზოოტექნიკასა და ვეტერინარიაში სპეციალურ ინსტიტუტებთან დაკავშირებით მაღალხარისხოვანი ლიტერატურის გამოცემა.

ნ. ცომაია

◆

ახალი წიგნები

საქ. პარტგამომცემლობა

ლენინი — მეორე ინტერნაციონალის კრახი, ტირ. 5.000 ც. ფასი 50 კ.

სტალინი — საუბარი პირველ ამერიკელ მუშათა დელეგაციასთან; ტირ. 8.000 ც. ფასი 60 კაპ.

სტალინი — ლენინის შესახებ, ტირაჟი 10.000 ც. ფასი 25 კ.

ორჯონიკიძე, ენუქიძე, ტოროშელიძე — მოგონებანი ლენინზე. ტირ. 5.000 ც. ფასი 35 კაპ.

საკურორტო სეზონი დაიწყო

აჭარისტანის კურორტებზე წელს დიდი მუშაობა ჩატარდა: ქობულეთის სანატორიუმის ერთ ადგილას თავმოყრის მიზნით (ამ ჟამად სანატორიუმს სხვადასხვა ადგილას უჭირავს რვა სახლი, ეს აძნელებს ავადმყოფთა მომსახურებას) დაწყებულია 48 ოთახიანი შენობის აგება.

მახინჯაურში აგებულია სახლი 40 კაცისათვის.

საკურორტო სეზონი აჭარისტანის კურორტებზე უკვე დაიწყო.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ქობულეთის სანატორიუმის ერთერთი კორპუსი, პლიაჟი ქობულეთში, მახინჯაურის დასასვენებელი სახლი.

მეცნიერება და ტექნიკა

საყალიბო მასალები სასხამი საქმისათვის

ავჭალაში ცენტროლიტის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ადგილობრივი საყალიბო მასალების საკითხი, განსაკუთრებით ფოლადის სხმულებისათვის არის მეტად აქტუალური. ამ დრომდე ფოლადის ჩამოსხმა ამიერ-კავკასიაში სწარმოებდა მხოლოდ ბაქოში შმიდტის სახელობის ქარხანაში, რომელიც თავის მოთხოვნილებისთვის იყენებდა საშუალოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხის დაღესტანის ქვიშებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი საყალიბო მიწა, რომელიც აკმაყოფილებს სასხმო საქმის ყველა მოთხოვნილებებს, ბუნებაში ძალიან იშვიათად მოიპოება.

ცენტროლიტის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის ა.-კ. განყოფილებამ ადგილობრივი ქვიშების—ავჭალის და ქროლის, შესწავლა ჩაატარა.

ავჭალის ქვიშების დაწვრილებით შესწავლამ გამოარკვია, რომ ისინი აკმაყოფილებენ თუჯის სასხმო ქარხნის მოთხოვნილებებს, მაგრამ ნაკლებათ გამოსაყენებელია ფოლადის ჩამოსხმისათვის, მცირე ცეცხლგამძლეობის გამო.

საუკეთესო მაჩვენებლები აღმოაჩნდა ქროლის საბადოების ქვიშებს (სადგურ ხარაგაულის მახლობლად) ამ ქვიშების შორის ხშირია დიდი ბუდობები, რომლებსაც ახასიათებს დნობის მაღალი ტემპერატურა და მაღალი აირგამტარობა, მაგრამ ამავე დროს მცირე გამძლეობა. ამ უკანასკნელის გასადიდებლათ, ქვიშაში მყოფი კვარცის ნაწილაკებს უფრო მჭიდროთ დაკავშირების საშუალებით, გამოყენებითი მინერალური ინსტიტუტის ა.-კ. განყოფილებამ მთელი რიგი ცდების ჩატარებით გამოიმუშავა მეთოდი, რომლის მიხედვით საყალიბო ქვიშაში შეჰყავთ ასკანგელის მაღალკოლოიდალური თიხა 3—5 პროც. და ცეცხლგამძლე თიხა 5 პროც.

მიღებული სინთეტიური საყალიბო მასა სრულად აკმაყოფილებს სასხმი საქმის მოთხოვნილებებს.

ასეთი მეთოდით დამზადებულ საყალიბო მასის საბოლოო გამოცდა ჩატარდება ახლო მომავალ დღეებში—ცენტროლიტში.

პროფ. ს. ფილატოვი

წყალბადის მესამე იზოტოპი

„კომუნისტში" მოთავსებულ წერილში „მძიმე წყალის" შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი წყალბადის იზოტოპის შესახებ („მძიმე წყალბადი"—H^2) ახლა, როგორც იუწყება ჟურნალი „Nature" უკვე აღმოჩენილია წყალბადის მესამე იზოტოპი (H^3), რომლის არსებობას წინასწარმეტყველობდნენ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში. უდავოთ თვლიან, რომ წყალბადის ეს იზოტოპი მოიპოვება ჩვეულებრივ და (დიდი რაოდენობით), „მძიმე წყალში". ვინაიდან ცნობილია უანგბადის სამი იზოტოპი, წყალბადის მესამე იზოტოპის აღმოჩენა შესაძლებლად ხდის დაუშვათ, რომ უნდა არსებობდეს 18 სახის წყალი.

22.000 სანთლიანი ლამპა

მოსკოვის ელექტროკომბინატის ლამპების ქარხნის ლაბორატორიამ ინჟ. გ. მ. იუდოვსკის ხელმძღვანელობით დაამზადა 10.000 ვატიანი ლამპა, რომელიც იძლევა 22.000 სანთლის ძალის სინათლეს.

ლამპა მთლიანად საბჭოთა მასალებიდან არის დამზადებული.

ელექტრონის სასწორი

ლენინგრადის უნივერსიტეტის გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორებმა ვ. რ. ბურსიანმა და ბ. კ. ფრედერიკსმა დაამზადეს არაჩვეულებრივად მგრძნობიარე ელექტრონის სასწორი. სასწორის მოქმედება ემყარება იმაზე, რომ სიმძიმის ძალის შეცვლა იწვევს ელექტროდენის ძალის შეცვლას. ამ ცვლილებას აღნიშნავს მგრძნობიარე გალვანომეტრი, რომელზედაც წონითი ერთეულებია აღნიშნული.

* * *

თვითმფრინავი სოფელში

ამას წინათ ალბულახში პირველად ჩაფრინდა საგიტაციო თვითმფრინავი. დასასვენებელი დღე იყო. წინასწარი გაუფრთხილებლობის მიუხედავად, თვითმფრინავთან თავი მოიყარა მთელმა ადგილობრივმა მშრომელმა მოსახლეობამ. შესდგა მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს კოლმეურნეების წარმომადგენლებმა და ადგილობრივი სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ. კოლმეურნეებმა სოფლის საბჭოს მოსთხოვეს თაოსნობა სახელობითი თვითმფრინავის ასაგებად თანხების შეგროვების დაწყებაში.

თვით მოსახლეობამ კი ერთხმად იკისრა თვითმფრინავის დასაშვები მოედნის მოწყობა.

სურათზე: მიტინგი თვითმფრინავთან სოფელ ალბულახში.

ალ. წუწუნავას იუბილე

23 მაისს ტფილისის საბჭოთა საზოგადოებრიობამ სახალხო არტისტ ალ. წუწუნავას გადაუხადა სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე. იუბილიარის დადგმით წარმოდგენილი იქნა ზ. ფალიაშვილის ოპერა «დაისი», რომელშიაც მთავარ პარტიებს ასრულებდენ საოპერო სცენაზე ა. წუწუნავას მოღვაწეობის დროს დაწინაურებული ახალგაზრდა ძალები: ბარიტონი პეტრე ამირანაშვილი (კიაზო), ნადეჟდა ცომაია, მ. ყვარელაშვილი (მალხაზი), მალკოვა (მარო), მამაცაშვილი (ცანგალა), სვანიძე.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო მილოცვები. საზეიმო სხდომა გახსნა განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. შ. გეგენავამ, რომელიც მიესალმა იუბილიარს და განაცხადა, რომ იუბილიარის ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავად საქართველოს მთავრობამ დაადგინა გადასცეს 5.000 მანეთი.

შემდეგ იუბილიარს მიესალმენ განსახკომის სახელოვნებო საწარმოთა სამმართველოდან — ვ. ბოკუჩავა, სახელმწიფო ოპერიდან — ლ. კანდელაკი, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობიდან — ვ. გოცირელი, ბაქოს წითელდროშოვან სომხური დრამიდან — მკრტიჩიანი, ტფილისის საბჭოს წარმომადგენელი — ილია ქოჩიაშვილი, სახკინმრეწვიდან — ბ. ლეჟავა, საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციიდან — ს. დოლიძე, რუსთაველის თეატრიდან — აკ. ვასაძე, რომელმაც იუბილიარს უძღვნა შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი", კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან — დ. ჩხეიძე, ტფილისის სახელმწიფო სომხური დრამის წარმომადგენელი, მწერალთა კავშირიდან — შალვა დადიანი, კომპოზიტორთა კავშირიდან — დ. არაყიშვილი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის წარმომადგენელი, ოპერის ქორეოგრაფიული სტუდიის მოწაფეები, ოზურგეთის ქალაქის საბჭოს წარმომადგენელი, რომელმაც აცნობა იუბილიარს, რომ საბჭომ დაადგინა ოზურგეთში გადახდილ იქნას ა. წუწუნავას 35 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე; სახელმწიფო კონსერვატორიიდან იუბილიარს მიესალმა ა. ხოჯერია, „საქ. ფილარმონიიდან" — ვ. ფურუშაძე, ოპერის სოლისტების სახელით — ლ. კავსაძე, ტფილისის სამხატვრო აკადემიის სახელით — გ. ბუხნიკაშვილი, ოპერის ბალეტის მსახიობთა წარმომადგენელი და სხვანი.

იუბილიარმა მრავალი საჩუქარი მიიღო; მათ შორის ტფილისის საბჭოდან 3.000 მანეთი, სამი თვით სანატორიუმში გაგზავნა და უფასო ბინა ტფილისის ერთერთ საგარეუბნო აგარაკზე. სახკინმრეწვიდან — 2.000 მანეთი და საწერი მაგიდა, საბჭოთა მეურნეობების ტრესტიდან — 2.000 მანეთი, „საქ. ვაჭრობიდან" — 1.000 მან., სახელმწიფო კონსერვატორიიდან — 1.000 მან., ამას გარდა კონსერვატორიაში დაწესებულია იუბილიარის სახელობის სამი სტიპენდია. სახელგამმა იუბილიარის სასარგებლოდ გადასცა 500 მანეთის წიგნები.

იუბილიარის სახელზე მიღებულია მრავალი მისასალმებელი დეპეშა; მათ შორის სახალხო არტისტებ მ. საფაროვა-აბაშიძისა, ნ. ჩხეიძისა და ნიკო გოცირიძისაგან. ევ. მესხისა, რეჟ. ტუგანოვისა, სახ. არტ. სარაჯკისა, მოსკოვის სახელმწიფო ებრაულ თეატრისა, ვახტანგოვის თეატრისა, მომღერლებ დ. ანდღულაძისა, ს. გოცირიძისა, დანელიანისა, მიქაძისა, ალ. პიროგოვისა, ლ. სობინოვისა, პოპოვასაგან, დირიჟორ ა. მელიქ-ფაშაევისა და სტოლერმანისაგან, სახ. არტ. იაბლოჩკინასა, მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და სხვებისაგან.

✶✶

ამხ. სკობელევი შეუდგა მოვალეობის ასრულებას

25 მაისს ჩამოვიდა და თავის მოვალეობათა ასრულებას შეუდგა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის მთავრობასთან ამხ. მათე ივანეს-ძე სკობელევი.

★★

ქრონიკა

— მოძრაობა მე-6 მარშრუტით თათრის მოედნიდან ორთაჭალამდე შეწყდება 26 მაისიდან ტრამვაის ხაზის ფართო ლიანდაგზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

— ამხ. ფრუნზეს სახელობის № ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის ახალწვეული წითელარმიელები დაბადებულნი 1911 წელს და თანაც უფრო ადრე შეღავათის მქონენი და მიწერილნი 1911 წლიანებთან ერთად სამთვიან შეკრების დაწყების გამო ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ასეულში (კახეთის ქ. № 34, გოგილოს აბანოს პირდაპირ მაღლობზე) ა. წ. 29 მაისს დილის სრულ 7 საათზე.

გამოუცხადებლობისათვის დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში როგორც დეზერტირები.

◆

საქართველოს ექიმთა მე-VI კონგრესი

სრ. საქართველოს ექიმთა მეექვსე სამეცნიერო კონგრესი შესდგება ტფილისში 5-10 ივნისს. საპროგრამო საკითხებია: 1) ქრონიკული რევმატიზმი, 2) ესენციალური ჰიპერტონია, 3) ბავშვთა სიკვდილობა და მასთან ბრძოლა საქართველოში, 4) პროფესიული სნეულებანი საქართველოში და მისი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, 5) საკურორტო საქმე საქართველოში, 6) სისხლის გადასხმა.

ამას გარდა მუშაობა იწარმოებს შემდეგ სექციებში: 1) ქირურგიული, 2) გინეკოლოგიური, 3) მორფოლოგიურ-სომატიური, 4) ფსიქონევროლოგიური.

სულ კონგრესზე წარმოდგენილია 120 მოხსენება.

ხელოვნება

მოსკოვის სახელმწიფო ებრაულ თეატრში

„ჯადოქარი" — გოლდფადენის მიხედვით; ლიტერატურული დამუშავება ლიტვაკოვის და დობრუშინის; სპექტაკლის კომპოზიცია — გრანოვსკისა; მხატვარი - ისააკ რაბინოვიჩი; მუსიკა — ახრონის.

პოეტი და დრამატურგი აბრამ გოლდფადენი (დაიბადა 1840 წ., გარდაიცვალა 1908 წელს) არის მამამთავარი და დამაარსებელი თანამედროვე ებრაული თეატრისა. იგი არა მარტო პიესებს სწერდა, არამედ აწარმოებდა მათთვის მუსიკის შერჩევას, დეკორაციების გაკეთებას და რეჟისორობას.

გოლდფადენის დრამატიული შემოქმედება არის წვრილბურჟუაზიული ხასიათის. გოლდფადენის ნაწერებში ბლომადაა მეშჩანური მორალი და ნაციონალისტური ტენდენციები, მაგრამ გოლდფადენის ნაწერებში გასცენიურების დროს ფართოდ განვითარდა ხალხური თეატრის საწყისები.

მოსკოვის სახელმწიფო თეატრმა თეატრალური მასალის ძებნის დროს ბუნებრივად მიმართა გოლდფადენს, რომლის ნაწარმოების ფონზე შექმნა შესანიშნავი სპექტაკლი „ჯადოქარი".

სიუჟეტი — ძველ ქვეყანასავით დამყაყებული და ტრაფარეტული, თითქმის ყველა ენებზე ათასჯერ გადაღეჭილი სხვადასხვა ვარიანტით — ქალიშვილისა და მისი ბოროტი დედინაცვალის ბრძოლაა, ჯადოქარის საშუალებით ქალიშვილის მოტაცება და მისი სტამბოლში გაყიდვა; ჯადოქარისავე დახმარებით დედინაცვალი აპირობს ქალიშვილისა, მისი საქმროს და მათი ხუმარა მეგობრის ცეცხლში ამოწვას, მაგრამ უბრალო შემთხვევის გამო, ეს ცდა გამოაშკარავდება. ბოროტმოქმედნი იჯჯებიან, ხოლო პატიოსანი ადამიანები იმარჯვებენ.

მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრი ამ უძველესი სპექტაკლით (დადგმა 1922 წლის) მიზნად ისახავდა ძველი ებრაული თეატრის დაცინვას. მოსკოვის სახ. ებრ. თეატრმა პიესაში შეიყვანა წმინდა ებრაული ნიღბები და ჩამოაცილა მას ცრემლები და სენტიმენტალობა. თეატრი ანსახიერებს არა „ჯადოქარის" სიუჟეტს, არამედ ამ სიუჟეტის უარყოფას და ამ ტრაქტოვკაშია თეატრის მთავარი დამსახურება.

რეჟისორულად სპექტაკლი შეკრულია თეატრისათვის დამახასიათებელი მეთოდით და სიძლიერით; სპექტაკლი აღსავსეა ძლიერი მასიური სცენებით; მიზანსცენები იცვლება თვალის დახამხამების სისწრაფით; გასაოცარი რიტმი, იშვიათი ხალხური მოტივები, რომელიც ასე უხვად გაბნეულია სპექტაკლში, სიცოცხლის დუღილი დაუსრულებელი მოძრაობა, ცეკვა, დეკორატიული ფონი და დიდი თეატრალობით გაკეთებული ყოველი დეტალი — „ჯადოქარს" მაინც ხდიან მოსკოვის სახელმწ. ებრ. თეატრის ერთერთ კარგ სპექტაკლად.

შემსრულებელთაგან პირველ რიგში უნდა გამოყოფილ იქნეს მსახიობი შტეინმანი. მისი ჰოცმახი ანსახიერებს ხალხური ხუმარის ყველა ხაზებს: სიხარულს, განუწყვეტელ მოძრაობას, გულკეთილობას.

შტეინმანს გვერდს უმშვენებენ მისი ამხანაგები: შიდლო (რებ ავრემლე), აზრაჰამ (ბასია), ფინკელკრაუტი (ჯადოქარი), როზინა (მირელე) და სხვ.

შედარებით სუსტად თამაშობს მსახიობი ზილბერბლატი, რომლის მარკუსს აკლია დამაჯერებლობა და გამბედაობა.

სპექტაკლი „ჯადოქარი" თეატრისათვის — ფორმალური და ექსპერიმენტალური თვალსაზრისით — უთუოდ დიდი მიღწევაა. მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც უფრო ისტორიული ხასიათისაა, ვინაიდან ამ სპექტაკლით თავის დროზე თეატრმა ყველაზე უფრო მკაფიოდ შეუტია ებრაული თეატრის ძველ, დრომოჭმულ რუტინულ ტრადიციებს.

სპექტაკლი თავისი სოციალური შინაარსით გამომშრალი და გამოფიტულია. დღევანდელ საბჭოთა მაყურებელს გოლდფადენის თავდაყირა დაყენებაც კი ველარ ააღელვებს.

ებრაელთა მშრომელი მასების გაზრდილი მოთხოვნილებანი და უდიდესი პერსპექტივები იძლევიან უამრავ მასალას, რომელსაც უფრო გაბედულად უნდა მიაქციოს თავისი გულისყური მოსკოვის სახელმწ. ებრაული თეატრის ძლიერმა კოლექტივმა.

გერცელ ბააზოვი

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილებაში ამხ. ღარიბაშვილთან 26 მაისს დღის 12 ს. გამოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ოგანიანი, პშენიჩნიკოვი (მექან. კონსტ. ქარხანა), ჰელიძე (საგარეუბნო), პიროულავა, ოზნიევი (ორჯონიკიძის რ.), კურთიანი (ა.-კ. თ.-ა.), მარქაროვი (ტ. ს. ს. ს.), შარაშენიძე (მკურავი), მაცაბერიძე (რაიმრეწკავშირი), ჩერნიკოვი (მექ. ქარხანა), მღებრიშვილი (კომკავშირის „26-ის" სახ. რაიკომი), ლელინი (მექ. კონსტ. ქარხანა), არაქელოვი (ზაჰესი), ს. ანტიპოვი („ზაკცელდორსტროი"), გოგოლაშვილი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), ციციშვილი (ავჭალის შუშის ქარხანა), კონტრიძე (სახკინმრეწვი), გაბრიელოვი (ტრამვაი), სალტიკოვი (რ. ლიუქსემბურგის სახ. ფაბრიკა), გელაშვილი (აბრეშუმის მრეწვ. საქ.-სავაჭ. სკოლა), ი. დანჩენკო (ვოროშილოვის სახ. ქარხანა).

სახ. ოპერა

ს ე ზ ო ნ ი ს დ ა ხ უ რ ვ ა

26 მაისს აბ. გარეშე ს.ს.რ.კ-ის დიდი თეატრ. სოლისტის **ს. ი. ლემეშევის** გამოსვლა **ევგენი ონეგინი** ხარკ. ოპ. მსახიობ. **მ. ს. გრიშკოს** მონაწილეობით	27 მაისს 7 აბ. 15 წარ. ს.ს.რ.-კის დიდი თეატ. სოლისტის **ს. ი. ლემეშევის** და ხარკ. ოპ. მსახ. **მ. ს. გრიშკოს** გამოს. თ. გასტროლებ **რიგოლეტო**	28 მაისს 8 აბ. 20 წარმოდგენა **დაისი**

24 მაის ს. ს. რ. კ-ის დიდი თეატრის სოლისტის **ს. ი. ლემეშევის** და ხარკოვის ოპერის მსახიობის **მ. ს. გრიშკოს** გამოსათხოვარი გამოსვლა მე-7 აბონემენტის მე-15 წარმოდგენა **რ ი გ ო ლ ე ტ ო**

რუსთაველის თეატრი სანდრ. ახმეტელის ხელმძღვანელობით

27 მაისს აბ. 10 წარ. „თეთნულდი"	28 მაისს 7 აბონ. 10 წარ. „თეთნულდი"	29 მაისს 8 აბონ. 10 წარ. „თეთნულდი"

27 მაისს მე 6 აბონემენტის მე-10 წარმოდგენაზე შეუძლიან შეავსონ გამოტოვებულ მე-10 წარ მე 3 აბ. სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30, 8 9-30, 11	„**ანკარა— თურქეთის გულია**" ახალი ხმოვანი დოკუმენტალური ფილმი
დამკვრელი ფოიეში—ჯაზი 6-30, 8, 9-30, 11	უკანასკნელი დღე „**მ ო რ ც ხ ვ ი**" ხვალიდან „**ჟუჟუნას მზითევი**"
ტემპი 6-30, 8. 9-30, 11.	მხატვრული კომედია „**ხ ა ნ უ მ ა**" ხვალ საზაფხულო კინოში „**ჟუჟუნას მზითევი**"
რ. ლიუქსემბურგის სახ. 7, 9, 11	„**ტ ი კ ი ნ ე ბ ი**" ხმოვანი კომედია
სპარტაკი 6, 7-30 9, 10-30	„**წითელი ეშმაკუნები**" ორივე სერია ერთად
„**26"-ის სახელობის** 6-30, 8-15. 10	მხატვრული ფილმი „**მთების კანონი**"

საქართველოს ფინსახკომი

აცხადებს ყველა საწარმოოთა დაწესებულებათა და ორგანიზაციების საყურადღებოდ რომ მუშა მოსამსახურეებიდან და მათთან გათანაბრებულ პირთაგან კულტგადასახადის დაკავება ხდება თვითეულ თვის 1-ლი ნახევრის ხელფასის გაცემის დროს წინამავალ თვეში (გამომუშავებული) მიღებული ნაშოვარის მიხედვით მთელი 1934 წლ. განმავლობაში.

უკეთუ წინამავალი თვის ნაშოვარი (ყოველგვარი დამატებითი ნაშოვრის ჩათვლით) არ აღემატება: ქ. ტფილისში—100 მან. **ბათომში**, სოხუმში და ქუთაისში—90 მან., საქართველოს ტერიტორიის დანარჩენ ქალაქებში 85 მან; და სოფლის ადგილებში—75 მან. თვეში—კულტგადასახადები არ გამოიანგარიშება.

როდესაც ნაშოვარი აღემატება ზემოაღნიშნულ დაუბეგრავ მინიმუმს მუშა-მოსამსახურეთ და მათთან გათანაბრებულ პირთ მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის მიხედვით, დამოუკიდებლად მიღებული თანხის სიდიდისა, ეძლევათ შეღავათი შემდეგი რაოდენობით:

როდესაც კმაყოფაზე 4 ყავთ —25%
„ „ 5 „ —30%
„ „ 6 და მეტი—40%

მუშა-მოსამსახურეებიდან კულტგადასახადების არასწორად გამოანგარიშებისათვის დაწესებული შეღავათების გაუვრცელებლობისათვის და აგრეთვე დაკავებული გამოსაღების ერთ დღეზე მეტად დაგვიანებით სახბანკში შეტანისათვის დამნაშავე პირები დაისჯებიან გადასახადთა აკრების დებულების 34 მუხლის ძალით.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარი **ლლონტი**

მასიურ გადასახდელების სექტორის ხელმძღვანელი: **ტყეშელაძე**

რუსთაველის თეატრი

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

სეზონი 1933-34 წ.

საიუბილეო დეკადის საზეიმო წარმოდგენები. 9, 10 11 12 ივნისის წარმოდგენებზე დასწრება მოწვევის წესით. ორგანიზაციებმა დაწესებულებების რწმუნებულებმა შესაფერი ბილეთების მისაღებად უნდა მიმართონ რუსთაველის თეატრის დირექციას. 14 ივნისის საზეიმო საიუბილეო საღამოს ბილეთებზე წარმოებს ჩაწერა თეატრის სალაროში 25 მაისიდან

ველოვალდებულებათა ყველა მქონეს

ველოვალდებულებებით ველოსიპედების გაცემის 1 ივლისისათვის დამთავრების მიზნით ს.ს.რ.კ. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი და ფინსახკომი წინადადებას აძლევენ III და IV სერიის ნომრიანი ველოვალდებულებათა და ყველა სერიის ველოვალდებულებათა დუბლიკატების ყველა მქონეს, არა უგვიანეს

31 მაისისა

გაატარონ ისინი რეგისტრაციაში „ტოჩმაშსბიტის" მაღაზიებში ძიმაკრების ადგილზე ველოსიპედების მისაღებად.

გამონაკლის შემთხვევებში, როცა სიშორის გამო შეუძლებელია პირადად გამოცხადება რეგისტრაციისათვის ველოვალდებულებათა მქონენი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გაუგზავნონ „ტოჩმაშსბიტის" სათანადო მაღაზიას (ყუფ მაღ. „გოსშვეიმაშინა") დაკვეთილი ღია ბარათი ფასგადახდილი დაკვეთილი პასუხით და აღნიშნონ ბარათში: ვალდებულების სერია და № მისი მქონის გვარი „ტოჩმაშსბიტის" ახალ მაღაზიაზე გადაწერა.

ყველა ის პირი, რომელიც თავის ველოვალდებულებას არ გაატარებს რეგისტრაციაში „ტოჩმაშსბიტის" მაღაზიაში დაწესებულ ვადისათვის, ე. ი 31 მაისამდე ჰკარგავს ველოსიპედის მიღების უფლებას: მას რჩება უფლება მხოლოდ უკან მიიღოს შეტანილი ფული

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას რეგისტრირებული ველოვალდებულების მქონე მოვალეა პირადი ანგარიშის შემნახველ სალაროში გადარიცხვასთან ერთად მოიხსნას აღრიცხვიდან „ტოჩმაშსბიტის" მაღაზიაში, და მიიღოს მისგან ცნობა „ტოჩმაშსბიტის" ახალ მაღაზიაზე მიწერის შესახებ

დუბლიკატების გაცემის აგრეთვე ველოვალდებულებათა ყველა დუბლიკატის მიხედვით ველოსიპედების გაცემის ვადები გამოცხადებულ იქნება ცალკე

საქართველოს შემნახველი სალაროს: **გეგეშიძე**

„ტოჩმაშსბიტი" **რამიშვილი**

საქ. საფინანსო-საბანკო პ.კ.ც.გ. პრეზიდიუმი თანაგრძნობას უცხადებს პრეზიდიუმის წევრს, აჭარისტანის საფინანსო-საბანკო პ.-კ. თავმჯდომარეს რუბენ სხვიტარიძეს საყვარელ

პატარა ციალას

უდროოდ გარდაცვალების გამო 3302

გამოცდილ მასწავლებლების ჯგუფი ამზადებენ **უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებს**. მათთვის დამზადებულია აგრეთვე

კონსპექტები

სხვადასხვა საგნებში. მისამართი: მარტის ქ № 6 (ვერის ბაზრის უკან), ბინა 4 ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 8 საათამდე 1—3

მშობლები: ზაქარია, ანნა, ძმები: გაბრიელი, ლევანი, გიორგი და სოფიო ქმარშვილით, რძლები: თამარა, ვერა რაისა იუწყებიან

მარიამ ჩაჩანიძის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. წრეშტოვის ქ. № 450 (ლენრაიონი). 3296

№ 791 საბინ. ამხ-ბაში შემავალ სახლის მცხოვრებლები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სახლის მცხოვრებ

ალექსანდრე ვლად.-ძე ფალავას

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება 24 მაისს 1 ს. პეროვსკის ქ. № 13. 3230

დამწუხრებულნი: მეუღლე გიორგი წერეთელი შვილით მიტუშათი მულები: გოგოტია კურცხალიასი ქმარშვილით, ბაბო წერეთელი იუწყებიან დაუვიწყარ

ქეთო ჭიჭინაძე წერეთლის

გარდაცვალებას. დასაფლავება ს. ჰორვილაში 27 მაისს 208

საქ. პროფსაბჭოს თანამშრომელნი: ცირღილაძე, ქუთათელაძე, გომართელი, ლაბაძე, აბულაძე, ვაშაკიძე, ჟურავლიოვი, მიქაბერიძე, აპპოვა თანაგრძნობას გამოვთქვამთ ამხ. ილია კვაჭანტირაძის მამი

ლეონტი კვაჭანტირაძის

გარდაცვალების გამო 3308

მშობლები: სონა, გიორგი, დები: მარო, ქეთო სიძეები: ლადო, შალვა ინაშვილები შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ

ვანო მენთეშაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ს. კუკიის სასაფლაოზე, გოცირიძის ქ. № 22 3304

გულმოკლული ბიძები: ნიკა და შაქრო, ძალოები, ბაბო და ევა მენთეშაშვილები, მამიდა ლიზა შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ ძმიშვილის

ვანო მენთეშაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას 3304

გაუბედურებული მშობლები: ეკატირინე, ანტონი, დაი სონა, ძმები: იესე, კოტე, რძლები: ნინა, ბაბულა ყიფშიძეები იუწყებიან

ანდრო ანტონის-ძე ყიფშიძის

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა 27 მაისს ზესტაფონში

დედა ივდითი, მამა ივანე როსტომის-ძე შვილებით: თამარი, ელენე, ნიკო ცოლშვილით ევგენია და ნათელათი იუწყებიან დაუვიწყარ

გიორგი (გოგი) მიქაძის

გარდაცვალებას. გადმოსვენება ყ. მიხეილის საავადმყოფოდან დღეს 4 ს. სასამართლოს ქ. 19

ისაკა ლელაშვილი, ელენა ედიშერაშვილი, ბატონა ბიჭიკაშვილი, ნიკო დალაქიშვილი, ვასო ჯანაშვილი, ესტტე მამასახლისოვი ი. დათაშვილი, ვ. ჯანგიშერაშვილი, შ. ქებაძე, სერგო მჭედლიშვილი იუწყებიან

პელაგია ბახტაძის

გარდაცვალებას. 3315

დამწუხარებული შვილი ივანე, რძალი ვერა პატარა თიკოთი ბახტაძეები იუწყებიან

პელაგია პავლეს—ასულ ბახტაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 26 მაისს 5 ს. ს. ხოვლეში. 3315

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მე13 კურსის სტუდენტობა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტ

ანდრო ყიფშიძის

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 27 მაისს. 3310

მცენარეთა დაცვის სამხ. ინსტიტუტის დირექცია და სტუდ-ორგანიზაციები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტ

ანდრო ანტონის-ძე ყიფშიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო 3310

სტუდქალაქის მეექვსე კორპუსში მცხოვრებნი სახუნტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები მწუხარებას გამოსთქვამენ გ. დონდოლაძის ძმის, სამართლის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტ

დიმიტრის

გარდაცვალების გამო. 3312

დამწუხარებული შვილი დათიკო, რძალი ვერიკო, შვილიშვილი მზია იუწყებიან ძვირფასი მამის და ბაბუას

სიმონ როსტომის-ძე გეგუჩაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ს. გუბში 27 მაისს. 3309

გულდაწყვეტილი ძმიშვილები: ილიკო, ივლიტა, რაჟდენი, რძალი ლიდიკო, სიძე ბესარიონ ცაგარეიშვილი შვილით დათუსიათი იუწყებიან აღმზრდელი ბიძის

სიმონ როსტომის-ძე გეგუჩაძის

გარდაცვალებას. 3309

დამწუხრებულნი შვილები: გედევან, ვალიკო, ჰიჰიკო, რძლები: ეენია, ოლია ყაჭეიშვილები შვილეებით იუწყებიან საყვარელ დედის

მართა ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 29 მაისს. გამოსვენება კალოუბნის ქ. № 22 3306

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: შვილი მარუსია, სიძე შოთა მეძმარიშვილები იუწყებიან საყვარელი მამის

სიმონ როსტომის-ძე გეგუჩაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. გუბში 27 მაისს 3309

მშობლები: ნადია და ერმალოზ, ძმა მიშა კოლაძეები, და კლავდია ქმრით მეგრელიძეები იუწყებიან, რომ 27 მაისს 12 ს. დანიშნულია დაუვიწყარ

გიორგი და ვლადიმირის

ხსოვნის აღსანიშნავი სამოქ. პანაშვიდი 3311

დამწუხრებული მშობლები: ზაქარია, ლიზა, ცოლი ქეთო, ძმა ნიკო ცოლით, დები: ნინა მაღრაძის, ელენე ქმარშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ივანე ზაქარიას-ძე [illegible]ადიმერის

გამოსვენება ერისთავის ქ. № 10 27 მაისს კუკიის სასაფლაოზე. 3307

ძია ისაკი, ძალო ტასო, ბიძაშვილები: შალვა, სერგო, მორჩილაძეები, ნინო ქმრით დიმიტრით შაყულაშვილები იუწყებიან

მარო ჩაჩანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკის სასაფლაოზე 27 მაისს 5 ს.

დამწუხრებული ბებიები: პელაგი, შუშანა დეიდები: ლიდა, კატუშა შარაშიძეები, ბიძები: თედორე, გიორგი ცხომელიძეები ოჯახით დავსტირით

პატარა ლილი იპოლიტეს—ას. გორდელაძის

უდროოდ დაკარგვას 3301

დეიდა ოლა, ძია ზაქარია დეიდაშვილი ივანე მეუღლე ივლიტათი, შვილი თეიმურაზით ბარნოვები იუწყებიან ძვირფას

მარო ჩაჩანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მაისს 5 ს. 3297

ფეფიკო, ემელიანე, ნატალია ნოდიები, ნიკო ჩიჩუა, ქრისტინა და პლატონ ჭანტურიები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

ვანო ოქროპირის-ძე ფანცულაიას

გარდაცვალებას. დასაფლავება ფოთში 30 მაისს 5 ს. 3293

სამტრედიის სავაგონო დეპოს პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი მებრძოლ ბოლშევიკის

ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე მანჯგალაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ს. ეწერში 26 მაისს. 3320

ფოთის ინვ. კოოპ. არტელი „წითელი მებრძოლი"-ს წევრები და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან არტელის წევრის, ენერგიულ და დაუღალავ მუშაკის

ივანე ოქროპირის-ძე ფანცულაიას

უეცრად გარდაცვალებას 3320

ფოთის ინვ. კოპ. არტ. „წით. მებრძოლი"-ს გამგეობა იუწყება ამავე არტელის გამგეობის წევრ ამხ.

ივანე ოქროპირის-ძე ფანცულაიას

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 30 მაისს. 3320

ამხანაგები: მახათაძე, თენეიშვილი, პაიჭაძე ალექსანდრე ფანჩულიძე, საწელაშვილი, ხატისკაცი, მოდებაძე, გურგენიძე, გამცემლიძე, ფიფინოვი, ჭანგიანი გრ. ფანჩულიძე იუწყებიან გრიშა დეკარის შვილის

ნოდარის

დაკარგვას 3320

სამუდამოდ გაუბედურებულნი: მეუღლე ანასტასია, შვილები: ეორეი, ანგელინა, შოთა, ბუცა იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ძვირფასი საყვარელი

ვანო ოქროპირის-ძე ფანცულაია

დაკრძალვა ფოთში 30 მაისს 3320

დამწუხრებული მშობლები: რუბენი, მარუსია, ძმები: სერიოჟა ალადინი ცხვიტარიძეები, ბაბუა ლუკა, ბებია ეკატერინე ქარცივაძეები, მამიდები, დეიდები, ბიძები დასტირიან

ციალა რუბენის—ას. ცხვიტარიძეს

დაკრძალვა ქ. ბათომში 27 მაისს, გორის ქ. № 25 3320

სამუდამოდ გულმოკლული დედა გულნარა, დები: ანიკო, მარო, ძმები: მიშა, შალიკო, საყვარელიძეები, იუწყებიან რომ 26 მაისს 1 ს. საქარაში დანიშნულია საყვარელ

დათიკოს

სამოქ. პანაშვიდი 10

ჩოხატაურის რაისაბავშვო ბაღის მასწავლებლები: ვენერა, ტუღუში, ქეთო წიტაიშვილი, ვარდიკო ჩხიკვიშვილი იუწყებიან ამავე ბაღის მასწავლებელ

ლოლია გურიელიძე—ჩხაიძის

უდროოდ დაკარგვას 3323

მედინსტიტუტის ქირურგიულ-უროლოგიური კლინიკის ექიმები თანაგრძნობას უცხადებენ პროფ. ა. წულუკიძეს მისი სიძის

სანდრო ფალავას

გარდაცვალების გამო 3272

ჩოხატაურის პოლიტექნიკუმის ათწლედის და რაიონთწლედის მასწავლებლები მწუხარებით იუწყებიან ათწლედის მასწავლებელ გოგოლ ჩხაიძის მეუღლის

ლოლია გურიელიძე ჩხაიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 25 მაისს ს. აკანაში 3323

ივანე, მარო თალაკვაძეები შვილებით, ნინა, მარია, ქსენია, ალექსანდრა, ლოლა, ელენე რადიშ, გაბრიელი სიძეებით: პ. ლომთათიძე, ვ. ფიფიაშვილი იუწყება

ლეონტი კვაჭანტირაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს ხიდისთავში 3303

დამწუხრებული დედა ოლია, შვილები ფარნაოზი ახმათი, ძმა მიხეილი, რძალი ელენე იუწყებიან, რომ

ივანე იოსების-ძე ზალდასტანიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად 26 მაისს 6 ს. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი 3300

შალვა შარაშიძის (თაგუნა)

გარდაცვალების გამო.

უღრმესად თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს ვარიას, საშა კანდელაკებს, ლიდა და გიორგი ცინცაძეებს მარო და მოტია მოხუსოვებს 3313

გულმოკლული დეიდა ნატაშა ქმრით. დეიდაშვილები აკაკი, ეორა, ვახტანგ ჭურციძეები. დასტირიან მათთვის საყვარელ, მე-3 კურსის სტუდენტს

ანდრო ანტონის-ძე ყიფშიძეს

დამწუხრებული ცოლი მარიამი, შვილები ვასო, გრიშა, ეორა მეუღლეთურთ იუწყებიან დაუვიწყარი

იაგორ ისაკის-ძე კირეულიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 27 მაისს, 5 ს. თემრუკის ქ. 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 3299

უახლოესი მეგობრები: ზ. ინასარიძე, ხ. იასელიანი, კ. იოსელიანი, ა. ლორთქიფანიძე, ვ. ხემსაძე, შ. ჩიქოვანი, შ. გუგუშვილი, ლ. შაფაქიძე, ა. ბარნაბიშვილი, ა. გაჩეჩილაძე, შ. თევზაძე, ნ. გოგიბერაშვილი, ს. ლოლაძე. მწუხარებას გამოვსთქვამთ ლ. შარაშენიძის

პატარა ლილის

დაკარგვის გამო. 3319

უახლოესი მეგობრები: ნ. კასრაძე, ს. დარჩია, ე. ლლონტი, ი. მოისწრაფეიშვილი, ი. ხარტიშვილი, ს. მიქაბერიძე, ე. მიქაბერიძე. ბიძაშვილი გ. მიქაბერიძე იუწყებიან ძვირფას

დიმიტრი დონდოლაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ნინოშვილში გურია 3320

ტრამვაის სახელოსნოების თანამშრომელნი ბაბუციძე, მაღულარია, გაბრიელოვი, ჩიქდოშა, ორკოშნელი, თურმანიძე, გამოსთქვამენ მწუხარებას ვასო კირეულაშვილის მამის

იაგორ კირეულაშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 27 მაისს 5 ს. თემეროვის № 9 3317

ლადო დავითის-ძე ბუტიკაშვილი

გარდაცვალებას აუწყებენ

გ. ბერიტაშვილი, ლ. ბუტიკაშვილი, ი. ბუტიკაშვილი, გ. სუხიშვილი, ბ. ყიფიანი, დ. ბერიტაშვილი, ს. რთველიაშვილი, ვ. ჩახიძე, შ. კაკაურიძე, ვ. ბუტიკაშვილი, ა. მაკალათია, ლ. ბეკურაშვილი

დაკრძალვა 26 მაისს ზემო ავჭალაში 3316

დამწუხრებული ბიძაშვილი ეთერი, მეუღლე შალვა ხაჭაპურიძე პატარა გურამით და ლიანათი იუწყებიან სიცოცხლით სავსე და მარად დაუვიწყარ

ვანო გიორგის-ძე მენთეშაშვილის

უდროოდ დაკარგვას 3305

ტ-მბა „კომუნისტი" კამოს ქ. №63

მთავლიტის რწმუნებული პ 1652